ახალი განათლება

20-26.09.2018

№26 (820) გაზეთის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 4

განათლების სისტემის კომპლექსური მოდერნიზაცია

„ჩვენ ახ გვსურს საქართველოში ვიხილოთ ჰამდენიმე ჰესტიჟული ან ჰამდენიმე ათეული ჰესტიჟული სკოლა, საქართველოში ყველა სკოლა უმაღლესი სტანდარტის უნდა იყოს. ჰეფოჰმის შედეგად მივიღებთ სკოლის ახალ მოდელს, ჰომელიც იქნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შეერწყმა ქართულ ჰეალობასთან, ქართულ პედაგოგიურ და სამეცნიერო გამოცდილებასთან.“

მამუკა ბახტაძე

პედაგოგთა დასახმარებლად

„სწავლება კლას-კომპლექტებში“ ეყრდნობა იმ თანამედროვე გამოწვევებსა და საჭიროებებს, რომლის წინაშეც დგას მასწავლებელი, როდესაც ერთდროულად ორ კლასს უტარებს გაკვეთილს.

მეთოდურ სახელმძღვანელოში თავმოყრილი სასწავლო რესურსი, კონკრეტული რეკომენდაციები და აღწერილი მუშაობის მეთოდები კლას-კომპლექტის მასწავლებელს მუშაობას გაუმარტივებს.

ფასი – 10 ლარი

დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 555 411 668, 593 300 264

კრებულში 4 ტიპის ტესტია, თითოეული მოიცავს:

- 30 ერთჟულიან დახურული ტიპის სავარჯიშოს სავარაუდო პასუხებით;
- ერთ 10-ჟულიან სავარჯიშოს;
- ერთ 5-ჟულიან სავარჯიშოს;
- ერთ 7-ჟულიან ღია ტიპის სავარჯიშოს პასუხებით.

ფასი – 10 ლარი

პროფესიონალი პედაგოგების, მათ შორის მენტორების მიერ მომზადებული სამოდელო გაკვეთილები და რეფლექსიები ყველა საგანში, უცხო ენების გარდა, დაეხმარება მასწავლებლებს სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვასა და შეფასებაში.

ფასი – 12 ლარი

კვლევა

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში

გვ. 5

სახელმძღვანელოები

არჩევანი „ხმის მიცემით“, რატომ გადაწონა რაოდენობრივმა უპირატესობამ

ვის უნდა დაეხმაროს ვენდი?

გვერდი 6-7

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში იწყებს სკოლების განაცხადების მიღებას 2019-2021 წლებში მოხალისესთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ჩვიდმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ 2019-2021 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი.** კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ათკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2019-2021 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე:

https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/

შეავსეთ და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე ვაჟა-ფშაველას გამზირი 29ა, თბილისი, 0160 ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

education@ge.peacecorps.gov

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- **ასმათ სიხარულიძე**
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595906444;
- **თეო ნეფარიძე**
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 591969881;
- **ია გელაშვილი**
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595950406;
- **ნინო ფიროსმანიშვილი**
  პროგრამების და ტრენინგების სპეციალისტი
  ტელ: 595027979.

მიადევნეთ თვალი ჩვენს ფეისბუქგვერდს: **Peace Corps Georgia**

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 22 ოქტომბერი, 2018 წელი

გამომცემლობა „ლეთა“ წარმოგიდგენთ

ᲐᲘ ᲘᲐ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲚᲐᲡᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ
ᲐᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲓ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲗ. ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠ

ოფიციალური დოკუმენტი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში, იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე

2018-2019 სასწავლო წლისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსებისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის №463 დადგენილებით.

დაფინანსების მისაღებად, განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარდგენილი უნდა იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში – საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2018 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

I. სოციალური პროგრამის ფარგლებში 1 920 000 (ერთი მილიონ ცხრაას ოცი ათასი) ლარი გამოყოფილია იმ სტუდენტების დაფინანსებისთვის, რომლებიც 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიას:

ა) 226 სტუდენტს, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აქედან:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტები) – 41 სტუდენტი;

გურიის რეგიონში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) – 2 სტუდენტი;

იმერეთის რეგიონში (ბაღდათის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის და ხონის მუნიციპალიტეტები) – 12 სტუდენტი;

კახეთის რეგიონში (ახმეტის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები) *19 სტუდენტი (მათ შორის, პანკისის ხეობის სკოლებში – 15 სტუდენტი);

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები) – 14 სტუდენტი;

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტები) – 15 სტუდენტი;

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (მესტიის მუნიციპალიტეტი) – 8 სტუდენტი;

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები) – 79 სტუდენტი;

ქვემო ქართლის რეგიონში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის და წალკის მუნიციპალიტეტები) – 27 სტუდენტი;

შიდა ქართლის რეგიონში (გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები) – 9 სტუდენტი;

ბ) 170 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (შემდგომში – ოკუპირებული ტერიტორია) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტებს, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნიციპალიტეტში – 90 სტუდენტს;

ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 75 სტუდენტს;

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში – 5 სტუდენტს;

გ) 5 სტუდენტს, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

დ) 5 სტუდენტს, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ე) 26 სტუდენტს, რომლებიც არიან:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
- 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები.

ვ) 5 სტუდენტს, რომლებსაც „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული აქვთ რეპატრიანტის სტატუსი;

ზ) 50 სტუდენტს, რომლებიც არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება);

თ) 100 სტუდენტს, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;

ი) 30 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

კ) 50 სტუდენტს, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ლ) 16 სტუდენტს, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ, მინიმუმ, 2 წლის განმავლობაში;

მ) 170 სტუდენტს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

II. სოციალური პროგრამის ფარგლებში, ასევე, დაფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2016 ან 2017 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე, აქედან:

ა) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

ბ) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, დარჩენილი თანხით დაფინანსდებიან:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; ან 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები; ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2013-2017 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა;
- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2013-2017 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში;
- ობოლი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება) სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2013-2017 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიაში/ქვეკატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა აღემატება ამ კატეგორიისთვის/ქვეკატეგორიისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე.

ინფორმაცია

დაიწყო ახალი სასწავლო წელი

„ბევრი სიახლე გველოდება, რომელიც კომპლექსურად შეუწყობს ხელს საქართველოში სკოლების განვითარებას“ – განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** 150-ე საჯარო სკოლაში, საიდანაც, 17 სექტემბერს, მოსწავლეებს სტუდენტებს, პედაგოგებს და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და იმ მნიშვნელოვან სიახლეებზე ისაუბრა, რომელიც განათლების სფეროში დაინერგა.

150-ე სკოლა ერთ-ერთია იმ საჯარო სკოლებს შორის, სადაც მინისტრის მიერ ინიცირებული სწავლების ახალი მოდელი საპილოტე რეჟიმში დაინერგება.

მას მიაჩნია, რომ სწავლების ახალი მეთოდი წარმატებული იქნება და ძალიან სწრაფად ყველა საჯარო სკოლაში დაინერგება.

„პირველ რიგში, ვულოცავ ყველა მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, სტუდენტს. მართლაც, მნიშვნელოვანი დღეა ახალი სასწავლო წლის დაწყება და მინდა, ყველას წარმატებები ვუსურვო, – მიმართა მინისტრმა 150-ე საჯარო სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და დირექციის წარმომადგენლებს – *წელს მართლაც მნიშვნელოვანი წელი იქნება, რომელიც გულისხმობს რეფორმების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას. დღეს ვიმყოფებით 150-ე სკოლაში, სადაც უახლოეს დღეებში საგაკვეთილო პროცესი ახალი მიდგომებით დაიწყება. ახალი მოდელი ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომას და მოიცავს ბევრ მიმართულებას, მათ შორის, ახლებურ მიდგომებს საგაკვეთილო პროცესში, იგულისხმება უფრო მეტი ანალიზის შემოტანა, რადგან თანამედროვე ბავშვს სჭირდება მსჯელობის, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარება და რაც შეიძლება მეტი ტექნოლოგიები, ინოვაციები, რომელიც დაინერგება სკოლაში.*

ახალი სასწავლო წლიდან საკმაოდ ბევრი სიახლე გველოდება. პროცესები ეტაპობრივად განვითარდება, დაწყებითი კლასებიდან დაიწყება და მაღალ კლასებში გავრცელდება. ეს იქნება ერთ-ერთი პირველი სკოლა და ამ მოდელს ეტაპობრივად სხვა სკოლებშიც განვავითარებთ.“

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მინისტრმა განაცხადა, რომ I-VI კლასების ჩათვლით, მოსწავლეები სრულიად განახლებულ წიგნებს მიიღებენ: *„შეტანილია ახალი სახელმძღვანელოები, რომელიც ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია ის, რომელიც წონას ეხება. ყოველთვის პრობლემა იყო ბავშვებისთვის ამხელა წონის ჩანთის ტარება. ორჯერ და მეტჯერ არის წონა შემცირებული.“*

მიხეილ ბატიაშვილმა მანდატურის სამსახურზეც ისაუბრა და თქვა, რომ მანდატურების უფლებების გაფართოების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. აუცილებელია მათი კვალიფიკაციის გაზრდა, მუდმივი გადამზადება და ტრენინგები, ასევე, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების ჩართულობა, პრევენციის კუთხით. აღნიშნა, რომ უკვე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში. მთავარ ამოცანად მიხეილ ბატიაშვილს უსაფრთხო სკოლა მიაჩნია – როდესაც მშობელი შვილს სკოლაში უშვებს, მშვიდად უნდა იყოს და იცოდეს, რომ მისი შვილი სკოლაში უსაფრთხოდ იმყოფება.

განათლების ხარისხის ასამაღლებლად დაანონსებული რეფორმა არა მხოლოდ ზოგადი, არამედ განათლების ყველა მიმართულებით განხორციელდება – სკოლამდელი, პროფესიული, უმაღლესი და სამეცნიერო.

სამინისტროს ინფორმაციით, საჯარო სკოლებში 50 232 პირველკლასელია დარეგისტრირებული, ხოლო კერძო სკოლებში – 5 892. მათივე ინფორმაციით, 2018-2019 სასწავლო წელს ხუთ კერძო და ოთხ საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სწავლა ერთი კვირით გადაიდო.

რეფორმის პრეზენტაცია

განათლების სისტემის კომპლექსური მოდერნიზაცია

საქართველოს მთავრობამ, იყალთოს სამონასტრო კომპლექსში, განათლების რეფორმის პრეზენტაცია გამართა. პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე** და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი** დამსწრე საზოგადოებას იმ სიახლეებზე ესაუბრნენ, რაც ახალი რეფორმის ფარგლებში იგეგმება და აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია, განათლების ყველა მიმართულება ერთიან სისტემაში, კომპლექსურად და სინქრონიზებულად ვითარდებოდეს.

აღინიშნა, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური განვითარება, სიღარიბის დაძლევა, სოციალური პრობლემები და ბევრი სხვ. ყველაზე ღირსეული პასუხი ამ გამოწვევებზე განათლებული საქართველო, განათლების სისტემის მოდერნიზაციაა. სწორედ ძლიერი და საფუძვლიანი განათლების სისტემის შექმნა და ამოქმედებაა მთავარი წინაპირობა, რომ საქართველომ ეს დაბრკოლებები დაძლიოს. *„ჩემი ცხოვრების მთავარი პრიორიტეტია განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაციები. შესაბამისად, ეს დღე ჩემთვის უმნიშვნელოვანესი და ძალიან ემოციურია. გპირდებით, ამ რეფორმას აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე და დავაყენებთ იმ შედეგს, რომელსაც საქართველო ნამდვილად იმსახურებს.“*

პრემიერმა თქვა, რომ 2018-23 წლების 5-წლიან ციკლში ის ძირითადი ბირთვი დაინერგება, რომელიც ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას სინქრონიზაციაში მოიყვანს ევროპული განათლების სისტემასთან. ხოლო 2019 წლის შემოდგომაზე კი მომზადდება საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნება უმნიშვნელოვანესი ამოცანა – სწორედ განათლება გახდება დომინანტი სექტორი საქართველოს ეკონომიკაში, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მთლიან შიდა პროდუქტში განათლების სექტორს, მინიმუმ, 10-11%-იანი წილი ჰქონდეს. *„21-ე საუკუნეში ვერც ერთი სახელმწიფო და ვერც ერთი ეკონომიკა ვერ იქნება წარმატებული, თუ ის არ ეფუძნება ადამიანური კაპიტალის შექმნას. შესაბამისად, ჩვენი ამოცანაც, სწორედ ეს გახლავთ, რომ განათლების რეფორმამ უზრუნველყოს საქართველოში ისეთი ადამიანური კაპიტალის და ისეთი სისტემების შექმნა, რომელიც საქართველოს განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიცხვში შეიყვანს.*

ამ დიდი პროექტის განსახორციელებლად ვიწყებთ რესურსების მობილიზებას. ამ რესურსებს მოგვაწოდებს როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორი, რომელიც უკვე გამოხატავს განათლების რეფორმაში მონაწილეობის მზაობას. ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების სრული მხარდაჭერა გვაქვს, ბევრი მათგანი დღევანდელ შეხვედრასაც ესწრება და მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის.“

ახალი რეფორმა გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას განათლების ხუთი მიმართულებით – სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და მეცნიერება – და განათლების ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციას უზრუნველყოფს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა, ასევე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ხუთივე მიმართულებაზე დეტალურად ისაუბრეს.

ითქვა, რომ **სკოლამდელი განათლება** პიროვნული განვითარების ფუნდამენტია და სწორედ ამიტომ სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება და იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც განათლების შემდგომ საფეხურებზე მათ წარმატების მიღწევაში დაეხმარება, მნიშვნელოვანია. განათლების სისტემის განვითარება სკოლამდელი განათლებით უნდა დაიწყოს.

სკოლამდელი განათლების რეფორმა, სხვადასხვა მიმართულებასთან ერთად, გულისხმობს ხელმისაწვდომობის ზრდას, ახალ სასწავლო პროგრამებს, გადამზადებულ პედაგოგებს, განათლების სტანდარტის დანერგვას ბავშვის განვითარების ყველა ასაკობრივ ჯგუფში, დამხმარე ელექტრონული რესურსების შექმნას მშობლებისთვის და მათი ინფორმირებულობის ზრდას სკოლამდელი განათლების შესაძლებლობებზე.

სკოლამდელი განათლების სტანდარტი ეტაპობრივად ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის დაინერგება.

მინისტრმა აღნიშნა, რომ როგორც საერთაშორისო გამოცდილება და ბევრი კვლევა აჩვენებს, სწორედ სკოლამდელ განათლებაში ეყრება საფუძველი მომავალში ბავშვის განათლების წარმატებას. თუ არ გვექნა კარგად განვითარებული, სწორი სისტემით მომზადებული პედაგოგებით აღჭურვილი განათლების სისტემა ამ საფეხურზე, შეუძლებელია, შემდეგ ეტაპებზე ეს ხელისშემშლელი ფაქტორი არ იყოს. ამიტომ უდიდესი ყურადღება, რეფორმის მიმდინარეობისას, მიექცევა სწორედ სკოლამდელ *განათლებას. „ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს ეტაპები, წლების მიხედვით, როგორ განხორციელდება სკოლამდელი განათლების რეფორმირება. 2022 წელს უნდა მივიღოთ, ფაქტობრივად, 100% დაფარვა არა მარტო დედაქალაქის, არამედ რეგიონებისაც.“* მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ გვექნება საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო სტანდარტები და გვეყოლება ამ სტანდარტებით გადამზადებული პედაგოგები. სკოლამდელ საფეხურზე სათანადოდ მომზადებული ბავშვები კი შემდგომ, უკვე სკოლის ეტაპზე, გაცილებით წარმატებით გააგრძელებენ სწავლას.

რეფორმირებული **სკოლა** ორიენტირებული იქნება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ინოვაციურობაზე, ინკლუზიურობაზე, ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებზე. 2019 წელს დაიწყება 50 სკოლით და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეტაპობრივად დაინერგება სწავლის ახალი მოდელი, 2023 წლისთვის 2000-ზე მეტ სკოლაში მოდელი სრულად იქნება დანერგილი. *„ჩვენ არ გვსურს საქართველოში ვიხილოთ რამდენიმე პრესტიჟული ან რამდენიმე ათეული პრესტიჟული სკოლა, საქართველოში ყველა სკოლა უმაღლესი სტანდარტის უნდა იყოს. რეფორმის შედეგად მივიღებთ სკოლის ახალ მოდელს, რომელიც იქნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შერწყმა ქართულ რეალობასთან, ქართულ პედაგოგიურ და სამეცნიერო გამოცდილებასთან.“* – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

განათლების რეფორმა მასწავლებლების, სკოლის დირექტორების და ადმინისტრაციის ხელფასების ზრდას ითვალისწინებს. 2018-2019 სასწავლო წელს გაზრდილ ხელფასს მიიღებს 10 000-მდე მასწავლებელი, მათ შორის, სპეციალური მასწავლებლებიც. 2019-2021 წლებში, ხელფასები გაეზრდებათ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და გაგრძელდება ხელფასების ზრდა მასწავლებლებისთვის. 2022 წლისთვის კი მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიაღწევს 1500 ლარს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი – 2000 ლარს და მეტს.

ძლიერ, თანამედროვე სკოლაში აუცილებლად იქნება უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. ახალი სკოლის დირექტორი უნდა იყოს ლიდერი, რომელიც მართვის ახალი მოდელით მართავს სკოლას. სკოლებში დაინერგება სწავლების ახალი მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც ასწავლიან გადამზადებული მასწავლებლები. ამასთანავე, სკოლებს მიეცემა თავისუფლება გარკვეული საგნების სწავლების ნაწილში.

სკოლებში მოსწავლეების კომპლექსური აზროვნების განვითარება ზოგადი განათლების მიმართულებით რეფორმის მთავარი ამოცანაა. მოსწავლეებისთვის ცოდნის გადაცემასთან ერთად, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, შემოქმედებითობის, იმ უნარ-ჩვევების განვითარებაა მნიშვნელოვანი, რომლებიც მათ მუდმივ ცვალებად და სწრაფად განვითარებად სამყაროში წარმატების მისაღწევად სჭირდებათ. ძლიერი, თანამედროვე სკოლა, ამავე დროს, ახალ ტექნოლოგიებს უნდა ეფუძნებოდეს და, შეძლებისდაგვარად, ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ უნდა ვითარდებოდეს.

მოსწავლის პიროვნული განვითარება, როგორც სკოლის მთავარი საზრუნავი, გააზრებული სწავლა-სწავლების კულტურა, ინკლუზიურობა, ეროვნული და კულტურული ფასეულობები, ინოვაცია და ტექნოლოგიები, როგორც ცოდნის შეძენისა და გაზიარების ინსტრუმენტი, უპირობო პოზიტიური და უსაფრთხო გარემო – ეს ის ძირითადი პრინციპებია, რომლებსაც ახალი სკოლის მოდელი დაეფუძნება.

მინისტრის განმარტებით, სკოლის ახალი მოდელი ითვალისწინებს სკოლის დირექტორის ლიდერად ჩამოყალიბებას, გადამზადებულ პედაგოგებსა და განახლებულ ინფრასტრუქტურას, ერთიან სასწავლო და ლაბორატორიულ პლატფორმას და უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს – სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რისთვისაც არაერთი პროექტი განხორციელდება.

პროფესიული განათლების მიმართულებით, სამინისტროს მიერ დაგეგმილი რეფორმის მთავარი ამოცანა რეგიონულ განვითარებაზე ორიენტირებული, სწრაფი დასაქმების მოქნილ მოდელზე გადასვლაა, რაც მოკლევადიანი გადამზადების სისტემის შექმნას გულისხმობს. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელი გახდება მხოლოდ კერძო სექტორის მონაწილეობით და სამუშაო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების მაქსიმალური უზრუნველყოფით.

იმისათვის, რომ რეფორმა იყოს შედეგიანი, იგი განხორციელდება ეტაპობრივად, გაწერილი გეგმის მიხედვით. მისი პირველი ეტაპი, რომელიც 2018-2019 წლებს მოიცავს, ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდას კიდევ 13 მუნიციპალიტეტში.

მამუკა ბახტაძე ამბობს, რომ პროფესიული განათლება იქნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება განათლების რეფორმაში. *„ის ორიენტირებული იქნება რეგიონული განვითარების საჭიროებებზე და სწრაფ დასაქმებაზე. ჩვენი ამოცანა იქნება, რომ უმოკლეს პერიოდში, გავზარდოთ სტუდენტების რაოდენობა რეგიონებში და განვავითაროთ პროფესიული განვითარების ცენტრები“.*

პროფესიული განათლების რეფორმა, 2019-2022 წლებში, პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ხელფასების ზრდას ითვალისწინებს.

უმაღლესი განათლების მიმართულებით დაგეგმილი რეფორმის მთავარი ამოცანა იქნება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაცია. შემუშავდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, დაიგეგმება განათლებისა და მეცნიერების სისტემების ინტეგრაცია, ასევე, სპეციალური პროგრამების შემუშავება უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად, შეიქმნება ერთიანი ელექტრონული სასწავლო პლატფორმა.

რეფორმის პირველი ეტაპი ითვალისწინებს განათლების ხარისხისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, დამოუკიდებელი და საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოების შექმნას. რეფორმის ამავე ეტაპზე უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსება გადავა ახალ მოდელზე. მეორე ეტაპი 2020-2023 წლისთვის განხორციელდება, რა დროსაც დაინერგება საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამები, ხოლო უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, მიზნობრივი პროგრამების განხორციელების შედეგად, 50 ათასი სტუდენტით გაიზრდება.

როგორც მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნა მდგრადი განვითარების მთავარი პრიორიტეტი **მეცნიერებაა.** განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მეცნიერთა და ზოგადად, სამეცნიერო მიმართულების განვითარება და ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სტრატეგიული სამეცნიერო პროექტების განსაზღვრასა და მხარდაჭერას, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა ხელშეწყობასა და მათი ჩართულობის სტიმულირებას საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში.

რეფორმის პირველ ეტაპზე დაგეგმილია მიზნობრივი დაფინანსება, მაღალი სტანდარტის საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების მხარდასაჭერად, ასევე, მეცნიერების საერთაშორისო მობილობის პროგრამაში აქტიურად ჩართვა.

რეფორმის მეორე ეტაპი მოიცავს ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტებში გაწევრიანებას, როგორებიცაა: Academia Europea, EU Joint Research Center, COST, H2020/Horizon Europe, Japan JNR/COMET, CERN/ATLAS/CMS და შესაბამისად, ამ პროექტებში ჩართულ ქართველ მეცნიერთა რაოდენობის ზრდას. ამასთან, შეიქმნება მეცნიერების თანამედროვე ელექტრონული სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ სფეროს განვითარებას.

* * *

იყალთოს აკადემიაში გამართულ პრეზენტაციას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რეფორმატორთა შემართება თითქოს იძლევა იმის იმედს, რომ გაცხადებული სიახლეები რეალურად ამუშავდება, თუმცა, მარტო ჩვენი გაზეთის არსებობის პირობებში, უკვე 4-5 რეფორმა გვახსოვს, საკმაოდ ხმაურიანად და იმედისმომცემად დაწყებული და მალე განელებული. ბოლო 20 წლის განმავლობაში განათლების სისტემის რეფორმაში იმდენი თანხა ჩაიდო (როგორც საბიუჯეტო, ასევე უცხოური ინვესტიციები), ეს რესურსი მიზნობრივად რომ დახარჯულიყო, ახალი რეფორმის საჭიროებაც დიდი ხნის მოხსნილი იქნებოდა. იმედია, ახალი ტალღა შედეგიანი იქნება და 2022 წლისთვის დასახული შედეგიც – მიღწეული.

მნიშვნელოვანია უკვე მიღწეული შედეგების და დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინება. რეფორმის ყოველი ახალი ტალღა ველოსიპედის ხელახლა გამოგონებით არ უნდა იწყებოდეს.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ იყალთოს აკადემიაში რეფორმის წარდგენას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, რადგან თითქმის ათასწლეულის წინ ის მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კვლევით-სასწავლო ცენტრს წარმოადგენდა. იქნებ იყალთოში დაწყებული რეფორმით საქართველოს განათლების სისტემამ წარმატებულ უცხოურ განათლების სისტემათა ჩამონათვალშიც კი დაიმკვიდროს ადგილი, ამას დრო გვიჩვენებს.

ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ განათლების ექსპერტების, პედაგოგების, დირექტორებისა და საზოგადოების იმ წარმომადგენელთა მოსაზრებებს, ვინც უშუალოდ ჩართულია ან ყურადღებით ადევნებს თვალს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

კვლევა

რა პრობლემები აქვთ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს

„ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს საქართველოში არა აქვთ წვდომა განათლებაზე, ჯანდაცვასა და ბავშვთა დაცვის მომსახურებებზე,“ – ნათქვამია გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევაში, რომელიც იუნისეფმა 24 ივლისს გამოაქვეყნა.

კვლევაში სახელდება ძირითადი ფაქტორები, რომელიც ბავშვებს ქუჩისკენ უბიძგებს – სიღარიბე, ოჯახში სხვადასხვა სახის პრობლემა, ძალადობა ოჯახში და მშობელთა მიგრაცია.

„ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ“ კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდმა ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, „ვორლდვიჟენთან“, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსთან“, „კარიტას საქართველოსა“ და გაეროს ბავშვთა ფონდის აზერბაიჯანის ოფისთან ერთად, განახორციელა. კვლევა ჩაატარა ნორვეგიულმა კვლევითმა ორგანიზაციამ Fafo.

კვლევის მიზანია საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფენომენისა და მათთან დაკავშირებული ინსტიტუციური სისტემების უკეთ შესწავლა, რეკომენდაციების შემუშავება და პრევენციული ზომების დანერგვა.

„ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ, უფროსებისა და ქუჩაში მცხოვრები სხვა ბავშვების მხრიდან ძალადობის განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან, – ამბობს საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი **ლაილა გადი**, – *გაეროს ბავშვთა ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობდა მთავრობასთან, ევროკავშირთან და პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომ, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მხარდასაჭერად, შექმნილიყო სახელმწიფო მექანიზმები და მომსახურებები, როგორიცაა: მობილური ჯგუფები და სარეაბილიტაციო ცენტრები. აუცილებელია მსგავსი რეაგირების მექანიზმების კიდევ უფრო გაფართოება, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვების ქუჩაში მოხვედრის პრევენცია. ეს კი ბავშვთა დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავებითა და სისტემური ცვლილებების განხორციელებით უნდა მოხდეს.“*

ბავშვების დაცვა ძალადობისგან და ყველაზე დაუცველი ბავშვების საჭიროებებზე ზრუნვა ევროკავშირის პრიორიტეტია და ეს პრიორიტეტი გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაშიც. *„ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობას აქვს გარკვეული პროგრესი ამ სფეროში, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ვიმედოვნებთ, კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები ხელს შეუწყობს კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. მოხარული ვართ, რომ მიმდინარეობს მუშაობა აჭარაში თავშესაფრებისა და შესაბამისი მომსახურებების შექმნის, სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ამ სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენის მიმართულებით,“* – ამბობს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილე **კატალინ გერმანი**.

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების პოპულაცია ძალიან მრავალფეროვანია და მოიცავს:

✔ **უსახლკარო ბავშვებს და მოზარდებს (ქუჩის):** მოზარდები/ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ, ქუჩაში ყოფნისას არ ახლავთ მშობელი და არ არიან მშობლის დაცვისა და მზრუნველობის ქვეშ. ამ ბავშვების უმეტესობას დროდადრო აქვს კონტაქტი მშობლებთან;

✔ **ქუჩაში უფროსის თანხლების გარეშე მყოფ ბავშვებს**, რომლებიც დასაძინებლად სახლში მიდიან: ბავშვები, რომლებიც დღის უდიდეს ნაწილს მუშაობენ ან სხვა სახის ეკონომიკური აქტივობით არიან დაკავებულნი ქუჩაში, უფროსის თანხლების გარეშე, მაგრამ მშობლები რეგულარულად უზრუნველყოფენ მათ საკვებით და/ან რესურსებით, ბავშვებს კი თავიანთი წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში;

✔ **ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვებს:** ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მომუშავე უფროსის თანხლებით არიან, ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ იქ არ სძინავთ;

✔ **უსახლკარო ოჯახების ბავშვებს:** უსახლკარო ოჯახების ბავშვების სიტუაცია ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვების მსგავსია, მაგრამ ისინი ღამით სახლში არ ბრუნდებიან. ქუჩის ბავშვთა ყველა ჯგუფში გვხვდებიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები.

საქართველოს და აზერბაიჯანის განსხვავებული სოციალური დახმარების პროგრამებისა თუ სამართლებრივი ჩარჩოების (მათხოვრობის აკრძალვა და წვრილი მოვაჭრეების მიმართ სანქციების აღსრულების უფრო მკაცრი ზომების გამოყენება) და აზერბაიჯანული ვალუტის გაუფასურების გამო, ხდება ბევრი აზერბაიჯანელი ოჯახის მიგრაცია საქართველოში, სადაც ისინი ქუჩის ცხოვრებას ეწევიან. ზაფხულში, ტურისტული სეზონის დროს, ხშირია აზერბაიჯანული და სხვა ქუჩის მობილური ოჯახების მიგრაცია საქართველოს ზღვისპირა კურორტებისკენ.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები ჯგუფებად იკრიბებიან და ერთად მოძრაობენ იმისთვის, რომ ერთმანეთი დაიცვან, ღამის გასათევი ადგილი იპოვონ, დასვენებისა და გართობის სივრცეები შეიქმნან, დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები და ითანამშრომლონ ეკონომიკურ აქტივობებში, მაგალითად, წვრილმან ვაჭრობასა და ქუჩაში მათხოვრობაში, ასევე წვრილმან დანაშაულში. ბავშვთა ზოგიერთ ჯგუფს ისეთი შიდა სტრუქტურა აქვს, რომელიც ჯგუფის წევრებს ხელმძღვანელი/უპირატესი სტატუსის მქონე ბავშვებად და დაქვემდებარებულ ბავშვებად ჰყოფს. უფროსი ბავშვები, ზოგჯერ, უმცროს ბავშვებს (რომლებსაც ჯერ არ შეუსრულდათ 14 წელი) ან დაქვემდებარებულ ბავშვებს ფარად იყენებენ სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, დანაშაულის ჩადენას აიძულებენ და ამ გზით მიღებულ შემოსავალს ართმევენ.

რა ძირითადი უფლებები ირღვევა – კვლევის შედეგად ვიგებთ, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობისგან როგორც მათზე მზრუნველების, ასევე ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ახალგაზრდების მხრიდან. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება არც განათლებაზე და არც სამედიცინო მომსახურებაზე, თუ არ ჩავთვლით სასწრაფო დახმარებას. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯგუფების შიდა დინამიკისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს სექსუალური „დაჯილდოების“ სისტემა, რაც გოგონებს ძალადობის რისკის წინაშე აყენებს. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთი ჯგუფის ყოფილი წევრების ჩვენებების მიხედვით, გოგონები ვალდებული იყვნენ, სექსუალური მომსახურება გაეწიათ ბანდის (ან სექტის) უფროსი წევრებისთვის. სხვა ჯგუფების ყოფილი წევრები ყვებიან, რომ ისინი თავიანთი შემოსავლის ნაწილს იყენებენ სექსუალური მომსახურების საფასურის გადასახდელად. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ, სავარაუდოდ, ქუჩის ბავშვები სექსუალური ძალადობის შედეგად ტრავმირებული უნდა იყვნენ. ეს არაერთხელ აღნიშნეს კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ფსიქოლოგებმა. ბავშვებისა და სოციალური მუშაკების მიერ დასახელებული იყო სხვა სახის, ძალადობით და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული, ფსიქოლოგიური ტრავმებიც.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა სერვისების მხრივ არსებული საჭიროებები. იმ ბავშვების, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების უფლებების დაცვის მიზნით, მომსახურებები (რამდენადაც ეს შესაძლებელია) უნდა ვრცელდებოდეს მშობლებზე ან ამჟამინდელ მეურვეებზე. ბევრი ბავშვი, რომელიც ქუჩაში მშობლების გარეშეა, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდის, თავს მორალურად ან სხვაგვარად ვალდებულად მიიჩნევს, შეინახოს თავისი მშობლები თუ მეურვეები; ან მშობლების თუ ოჯახის სხვა წევრების მხრიდან იძულების სხვადასხვა ფორმა განაპირობებს ბავშვების შრომაში ჩაბმას. შესაბამისად, მშობლების დამატებითი ეკონომიკური მხარდაჭერა და დახმარება სამუშაოს პოვნაში განხილული უნდა იქნეს, როგორც შემოსავლის მომტან საქმიანობებში ბავშვების ჩართვის თავიდან აცილებისა და მშობლების მზრუნველობის უნარის განმტკიცების სტრატეგია. მშობლები და მეურვეები, ასევე, ჩართულები უნდა იყვნენ თანამშრომლობაში მათი შვილების მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად, უნდა შეფასდეს მეურვეების მხრიდან ძალადობისა და შეურაცხყოფისგან ბავშვების დაცვის საჭიროება და, ზოგიერთ შემთხვევაში, განხილული უნდა იქნეს ბავშვების მშობლებისგან ჩამოცილების აუცილებლობა სამართლებრივი ნორმების დაცვით.

ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვებისთვის არსებული მომსახურებები აუცილებლად უნდა მოიცავდეს ოჯახებს. ყველა მომსახურება მიზნად უნდა ისახავდეს ოჯახებთან თანამშრომლობას, თუ ძალადობის და/ან სხვა შეურაცხყოფის ისტორიები არ მიგვითითებს იმაზე, რომ უფრო მნიშვნელოვანია ბავშვების დაცვა საკუთარი მშობლებისგან. ქუჩის მობილური ოჯახების დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები. აქედან გამომდინარე, მომსახურებები უნდა ითვალისწინებდეს ამ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით არსებულ სოციალურ და კულტურულ სტიგმას. ამასთანავე, ბოშების და აზერბაიჯანელი ქურთების ოჯახების წევრთათვის სამსახურის პოვნის მცდელობების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათ მიმართ არსებული არაოფიციალური დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე. ამ შემთხვევაშიც, საერთო მიზანს წარმოადგენს ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ისეთი რეგულარული და გრძელვადიანი სამუშაოს შოვნაში, როცა საჭირო აღარ იქნება ბავშვების შრომა. ქუჩის ოჯახების სეზონური მიგრაცია ბავშვების განათლების საქმეში კონკრეტულ სირთულეებს წარმოშობს. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ დახმარებას, როდესაც შესაძლებელი გახდება ბავშვების სკოლაში დატოვება იმ პერიოდში, როდესაც მათზე მზრუნველებს გადაადგილება უნევთ. ალტერნატიულად, უნდა წახალისდეს ბავშვების მიერ, საცხოვრებლის შეცვლისას, საგანმანათლებლო დაწესებულებების შეცვლის შესაძლებლობაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას კონკრეტული სეზონური სასწავლო დაწესებულებები, მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროზე და უნდა წახალისდეს მშობლებთან პარტნიორობა, ამ დაწესებულებებში ბავშვების დასწრების უზრუნველსაყოფად.

ძალიან მნიშვნელოვანია მობილურ ოჯახებთან სოციალური მუშაკების კონტაქტის გააქტიურება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ოჯახებისთვის მომსახურების მშობლიურ ენაზე გაწევას. რაც შეეხება უსახლკარო ოჯახების ბავშვების მომსახურებას, ის ძალიან ჰგავს ქუჩის მობილური ოჯახის ბავშვებისთვის გასაწევ მომსახურებებს, თუმცა, მათ შემთხვევაში, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ამ ოჯახებისთვის თავშესაფრის გამონახვას, რაც ბავშვების სკოლაში ჩარიცხვის წინაპირობა გახდება.

უსახლკარო ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის მომსახურებებს საფუძვლად უნდა დაედოს მათი ურთიერთდახმარების არსებული სოციალური კავშირები. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამებშიც და ხელი უნდა შეეწყოს, მაგალითად, ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მომავალში ბავშვებს შეაძლებინებს მათთვის საინტერესო კომერციულ საქმიანობაში და შემოსავლის მომტან მდგრად საქმიანობაში, სხვა ახალგაზრდებთან თანამშრომლობით, მონაწილეობას. ამგვარ იდეებს განეკუთვნება, მექანიკის, მანქანების და მოტოციკლეტების ტექნიკური მომსახურება, საკვების მომზადება და მიწოდება, ბავშვებზე ზრუნვა და მუშაობა ახალგაზრდებთან, სხეულის მოხატვა და სილამაზის ინდუსტრიაში მომსახურებები და ა.შ. ბავშვების მომზადების გეგმები ამგვარი მიმართულებების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს. საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ხელობის შესასწავლი პროფესიული მომზადების პროგრამები, და ამგვარი ქსელების ჩამოყალიბება უნდა მოიცავდეს თანატოლებს შორის გამოცდილების გაზიარების მექანიზმებსაც, მაგალითად, რეგულარული შეხვედრების, სოციალურ მედიაში პორტალების შექმნის და ა.შ. მეშვეობით.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში

საქართველოში ამჟამად არსებული სერვისები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის მოიცავს დღის ცენტრებს, 24-საათიან თავშესაფრებსა და მობილური გუნდების საქმიანობას. აზერბაიჯანში არ არსებობს მობილური ჯგუფები, მცირე რაოდენობითაა დაწესებულებები ბავშვებისთვის მომსახურების გასაწევად. ორივე ქვეყანაში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მშობლებისა და ოჯახებისთვის სერვისები შეზღუდული რაოდენობისაა. საქართველოში არსებობს სოციალური დახმარება ოჯახებისთვის, მაგრამ ეს დახმარება ნაკლებადაა განვითარებული აზერბაიჯანში. საჭიროა ამ სახის დახმარების შეფასება ორივე ქვეყანაში, ბავშვების ცხოვრების პირობებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ასევე, უნდა გაძლიერდეს დახმარება მშობლების დასაქმებაში, რადგან რეგულარული სამუშაოს უქონლობა და სამუშაოს მოულოდნელად დაკარგვაა, სწორედ ის ფაქტორები, რაც იწვევს ბავშვების ჩაბმას შინამეურნეობის შემოსავლის მოპოვებასა და ქუჩაში ცხოვრებაში. უფრო მეტიც, *„მთავარი მიზანი უნდა იყოს იმგვარი საერთო მიდგომის დამკვიდრება, რომელიც აქცენტს გააკეთებს ოჯახებთან თანამშრომლობაზე და არა მშობლებისთვის სანქციების დაკისრებაზე. განსაკუთრებით მობილური ოჯახების შემთხვევაში, მობილური გუნდების პოტენციური ჩარევა, ხშირად, დაკავშირებულია ბავშვებზე მეურვეობის დაკარგვასთან. ოჯახებისგან ბავშვების დაშორება უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერვისები შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც მობილურ ოჯახებთან დაკავშირებული სტიგმის გამაღრმავებელი საშუალება. გარდა ამისა, უნდა გაფართოვდეს ინსტრუმენტები ოჯახების დასახმარებლად. სერვისები როგორც ბავშვების, ასევე ოჯახებისთვის მოითხოვს დაფინანსების გაზრდას. ბავშვების მომსახურება დღის ცენტრებსა და 24-საათიან თავშესაფრებში, მთავრობის მიერ გამოყოფილ სახსრებთან ერთად, ამჟამად, საჭიროებს დაფინანსებას არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. როგორც აღინიშნა, სოციალურ სამსახურებში უნდა აისახოს ქუჩის ბავშვების პოპულაციის ეთნიკური მრავალფეროვნება. ამასთანავე, უნდა აისახოს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ბავშვს სხვადასხვა მომსახურება სჭირდება, ქუჩაში ცხოვრებისა თუ მუშაობის სხვადასხვა ტენდენციიდან გამომდინარე“* – ნათქვამია კვლევაში.

კვლევის ზედამხედველობისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღების მიზნით, შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც, ძირითად პარტნიორებთან ერთად, იუსტიციის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სახალხო დამცველის აპარატი და ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ არიან.

კვლევის მონაცემებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭომ მოამზადა კონკრეტული რეკომენდაციები ერთიანი სახელმწიფო ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, რომ ამოქმედდეს აუცილებელი პრევენციული და რეაგირების მექანიზმები ქუჩის ცხოვრებისგან ბავშვების დასაცავად. ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, ბავშვის ქუჩაში მოხვედრის პრევენციის მიზნით, ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების შექმნაა. ასევე, აუცილებელია არსებული მომსახურებების გეოგრაფიული არეალის გაფართოება და ახალი სერვისების შექმნა აჭარაში. სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს მიგრანტი ბავშვებისა და მათი ოჯახების დახმარებისა და მათ საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

მოამზადა **ლალი ჯელაძემ**

სახელმძღვანელოები

არჩევანი „ხმის მიცემით“, ანუ რატომ გადაწონა რაოდენობრივმა უპირატესობამ

სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხმა საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით მას შემდეგ მიიქცია, რაც პროცესმა დათქმულ ვადებს გადააცილა და მოლოდინის რეჟიმში მყოფმა ავტორებმა, გამომცემლებმა და პედაგოგებმა, გაურკვეველი მიზეზების ძიებაში, თითქმის, მთელი ზაფხული გაატარეს. თავისთავად გამომცემლების ინტერესი მათ კომერციულ ინტერესებზე გავიდა, ხოლო მასწავლებლების ინტერესები გაცილებით მრავალმხრივი აღმოჩნდა, რადგან პროცესის გაჭიანურებამ მათთვის სერიოზული პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით შექმნა.

ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევა, უკვე შვებულებაში მყოფ პედაგოგებს, ნაბეჭდი ვერსიების გარეშე მოუწიათ – უარეს შემთხვევაში ბრმად, უკეთეს შემთხვევაში კი, ელექტრონულ ვერსიებზე დაყრდნობით, თანაც ძალიან შემჭიდროებულ ვადებში. რა წერია მათ მიერ არჩეულ სახელმძღვანელოებში და რას მისცეს ხმა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა უმეტესობა ამას სასწავლო წლის დაწყების შემდეგ შეიტყობს, რადგან სახელმძღვანელოები სწავლის დაწყებამდე, ცოტა ხნით ადრე შევიდა სკოლებში . წიგნების შინაარსობრივი თუ ტექნიკური მხარის გაანალიზების გარდა, მასწავლებლებს კიდევ ერთი პრობლემა თემატური და კალენდარული გეგმების დაწერამაც შეუქმნა, რადგან, ბუნებრივია, ვერც ერთს დაწერ და ვერც მეორეს, თუკი სახელმძღვანელო ხელში არ გიჭირავს. „ასეთ შემთხვევაში, მიზეზები და გარეშე ფაქტორები ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, რადგან ბავშვების წინაშე მაქვს ვალდებულება,“ – აცხადებს ერთ-ერთი პედაგოგი. მართალია, სკოლებს წიგნის შერჩევის უფლება მიენიჭა, მაგრამ, რაც შეარჩიეს, ის კონკრეტული სახელმძღვანელო ზოგად ბაზაში დაიკარგა და მაინც, რას ფიქრობენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები შექმნილი პრობლემების შესახებ და როგორ გაართვეს თავი ურთულეს ამოცანას – არჩევანი „არჩევნის გარეშე“ გაეკეთებინათ – ამის შესახებ თავად მასწავლებლები საუბრობენ, რომლებიც სწავლის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავწერე.

თინა გიორგაძე

№28 საჯარო სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე:

სახელმძღვანელოების გრიფირებისა და არჩევის პროცესი თავიდანვე როგორც დაიწყო პრობლემურად, ფაქტობრივად ისევე გაგრძელდა. ნამდვილად არ ვიცი რისი ბრალია, გამომცემლობების თუ დაულაგებელი სისტემის, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ პრობლემები შეგვექმნა, თუმცა, საკითხავია ვისთვის სერიოზულია ეს პრობლემები და ვისთვის არა. როცა მასწავლებლები შვებულებაში იყვნენ, სწორედ მაშინ მოვიდა მოთხოვნა, რომ სასწრაფო წესით (2-3 დღეში) აგვერჩია სახელმძღვანელოები. მის არჩევას კი გონივრული დრო სჭირდება. ისედაც, ვიდრე პრაქტიკაში არ გამოიცდება წიგნი და არ ნახავ, როგორ იმუშავებს კლასში, რთულია მისი შეფასება. ახლა, თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა, რამდენად რეალურია ასეთი სახით და ტემპით სახელმძღვანელოს არჩევა, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, დაბეჭდილი სახელმძღვანელოები თვალით არ გვინახავს. მეტიც, როცა გამომცემლობებმა მიიწვიეს პედაგოგები სახელმძღვანელოების გასაცნობად, იქაც კი არ ჰქონდათ ბეჭდური ვერსიები. ფაქტობრივად, წიგნებს ხელით არ შევხებივართ, ისე ავირჩიეთ. თუმცა, ტელევიზიით თქვენც მოისმენდით, რომ არა აქვს მნიშვნელობა ჩვენს არჩევანს, რადგან, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებას სხვა იღებდა (არ ვიცი კონკრეტულად ვინ). მე ქართულს ვასწავლი და სკოლაში მოგვივიდა ის სახელმძღვანელო, რაც ავარჩიეთ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა სხვა ავტორის წიგნები აირჩიეს და საერთოდ სხვა მიიღეს.

წელს მე-5 და მე-12 კლასს ვასწავლი. მე-5 კლასში არჩევანი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სახელმძღვანელოზე შევაჩერე. კათედრაზე სამი მასწავლებელი ვართ და შევთანხმდით, რომელი აგვერჩია. შერჩევისას ყველა გამომცემლობის წიგნებზე არ გვქონდა წვდომა, ვინაიდან ზოგიერთის ელექტრონული ვერსიაც კი არ იხსნებოდა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც წავაწყდი, მასწავლებლის წიგნს უკავშირდება. ადრე სკოლაში, სახელმძღვანელოებთან ერთად, მასწავლებლის წიგნიც მოდიოდა. წელს სახტად დავრჩით, ჯერ სახელმძღვანელო მოვიდა გვიან და აღმოჩნდა, რომ არც გვიან და საერთოდაც არ არის გათვალისწინებული ჩვენთვის წიგნი. სოციალურ ქსელში, მასწავლებელთა დახურულ ჯგუფში დავსვი კითხვა, ვის რა ინფორმაცია ჰქონდა ამის შესახებ. მასწავლებლებმა ურთიერთგამომრიცხავი პასუხები დაწერეს – ზოგიერთ გამომცემლობაში პედაგოგებს ეუბნებიან, რომ თვითონ უნდა წაიღონ მასწავლებლის წიგნი, მას შემდეგ, რაც სკოლიდან ცნობას წარადგენენ, ზოგიერთი კი ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაბეჭდილი, მოკლედ სრული ქაოსია. თუმცა, მე პირადად, ინტერნეტთან მაქვს წვდომა და რადგან მე-5 კლასის მასწავლებლებისთვის (გაგვიმართლა) არის ელექტრონული ვერსია, საბოლოო ჯამში, ალბათ, იმას გამოვიყენებ.

ქართულის მასწავლებლის გარდა, სკოლაში დირექტორის მოადგილეც ვარ და ეს პრობლემა ორმაგად შემეხო. მევალება პედაგოგებს ვთხოვო, მომიტანონ თემატური გეგმები, ამისთვის, რასაკვირველია, გარკვეული დრო უნდა მივცე, გარდა ამისა, სახელმძღვანელოები რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი და ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაწილია დაბეჭდილი. დანარჩენს, ალბათ, ისევ ინტერნეტით გაეცნობიან. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი რამდენად მოახერხებენ სრულად დაწერონ თემატური გეგმა, სავარაუდოდ, მასწავლებლის წიგნებით თუ მოახერხებენ, თორემ სახელმძღვანელოების მიხედვით, ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია – ლოგიკურიცაა, როგორ გაწერენ წლის კალენდარულ გეგმას, თუკი სახელმძღვანელოს სრულ ვერსიას ვერ ნახავენ.

რაც შეეხება მე-5 კლასის სახელმძღვანელოში შეტანილ სიახლეებს, გეტყვით, რომ ასე მარტივად სახელმძღვანელოს ანალიზი შეუძლებელია. ერთი თვალის გადავლებით, გამიჭირდება მის ავ-კარგიანობაზე საუბარი, თუმცა, პირველ რიგში, რაც თვალში მომხვდა, არის ის, რომ ავტორებმა, როგორც იქნა, გაითვალისწინეს, რასაც წლებია ვითხოვთ – სახელმძღვანელოში ცალკე ნაწილადაა შესული გრამატიკა, ანუ ენის სწავლება და ლიტერატურის სწავლება ცალ-ცალკე მოხდება. დადებითად შევაფასებ იმასაც, რომ წიგნს ახლავს სამუშაო რვეული, ასევე ძალიან მომწონს სახელმძღვანელოში შესული ლექსიკონი, სადაც ერთადაა თავმოყრილი ის უცხო სიტყვები, რაც სწავლებისას შეხვდება მოსწავლეს. ეს მათ ძალიან დაეხმარება. სიახლეა ისიც, რომ შეტანილია ტექსტები უცხოური ლიტერატურიდან, მაგალითად, თვალში მომხვდა რამდენიმე თავი „ტომ სოიერის თავგადასავლიდან“, თანამედროვე ქართველი ავტორები არ შემინიშნავს, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, რადგან ძალიან მცირე დრო მქონდა. სულ ეს არის, რაც მოვასწარი სკოლაში პარასკევს წიგნის მოტანის შემდეგ. ამიტომ დეტალური ანალიზი გამიჭირდება.

ანი გაგუნაშვილი

№18 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მასწავლებელი:

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და ახალი პროგრამა ძალიან მომწონს და ნამდვილად მომხრე ვარ, რომ ყოველ 6 წელიწადში ერთხელ იცვლებოდეს. რაც შეეხება კონკრეტულად სახელმძღვანელოების არჩევის პროცესს, ელექტრონული ვერსიების მიხედვით მოგვიწია არჩევნის გაკეთება, მაგრამ იყო შემთხვევა, რომ ელექტრონული ვერსიაც ვერ ვნახეთ, რადგან რამდენიმე სახელმძღვანელოს მხოლოდ თავფურცელი და სარჩევი იდო, აქედან გამომდინარე, მათი არჩევა რთული აღმოჩნდა. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, სახელმძღვანელოები ხელშესახები ყოფილიყო მასწავლებლისთვის, შეგვეგრძნო წიგნები როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად. ასეთ პირობებში კი, რა სახელმძღვანელოებიც ავირჩიეთ, კმაყოფილი ვარ. მაგალითად, მე-3 კლასის ქართულში „ტრიასის“ მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ავირჩიეთ. მისი უპირატესობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ვიზუალურმა მხარემაც განაპირობა – უფრო ფერადია და ბავშვებისთვის კარგი განწყობის შემქმნელი. წიგნი ორ ნაწილადაა გაყოფილი და, რაც მთავარია, შინაარსობრივად ძალიან კარგადაა ტექსტები დალაგებული. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მიჰყვება და, მაჭარაშვილის სახელმძღვანელოსგან განსხვავებით, უფრო თანამედროვედაა აგებული. ბევრი ახალი ნაწარმოებია შესული და ბავშვებისთვის, რაც მეტი სიახლეა, მით უკეთესი. თუმცა, მთავარი მაინც მასწავლებელია, როგორ მიაწოდებს მასალას მოსწავლეს, რადგან სახელმძღვანელო არ არის ერთადერთი და უმთავრესი რესურსი. ჩვენ არ გვეკრძალება იმის იქით ხედვა. გამომცემლობა „ტრიასის“ სახელმძღვანელოს არჩევა პირველი კლასის მასწავლებლებმა ერთად გადავწყვიტეთ. ვიზუალური უპირატესობის გარდა, ტექსტი მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელია. ამოსავალი წერტილი კი მაინც მისი განვითარებაა – ასოდან სიტყვამდე, ნელ-ნელა იშლება ტექსტი და მივდივართ ამბამდე, რომელსაც იოლად აღიქვამს მოსწავლე. თავისთავად, გოგებაშვილი ძალიან კარგია, მაგრამ ის იყო აწყობილი მე-19 საუკუნეზე, ჩვენ კი გვჭირდება 21-ე საუკუნეზე გადართვა, ამიტომ, თუნდაც ერთი ახალი ორიგინალური ნაწარმოები ან მოთხრობა რომ შეგვხვდეს წიგნში, ეს სულაც არ არის გასაკვირი. სოციალურ ქსელებში ძალიან აქტიურად განიხილებოდა სახელმძღვანელოში შესული ორი ღორის ამბავი. დედა და მამა ღორის ამბავმა სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა – ცოტა ხნით მამა ღორი იკარგება და მერე ყვავილების თაიგულით ბრუნდება, რომელიც დედა ღორისთვის მოაქვს. გმობდნენ, რატომ მაინცდამაინც ღორიო, არ მესმის რატომ არა, იყოს ღორიც, ძროხაც, რას ვერჩით ამ ცხოველებს. მოკლედ, ამ ლექსმა სულაც არ გამაღიზიანა, პირიქით. აუცილებელი არ არის ზეპირად ისწავლონ ბავშვებმა ლექსი, შეიძლება სიტუაციური თამაშებით გაიარო კონკრეტული მასალა.

რაც შეეხება მათემატიკას, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის რუხაძის სახელმძღვანელო მომწონდა, ვიდრე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“, რადგან ვფიქრობ, აქ ცოტა ზედმეტად შემსუბუქებული მოაქვთ მათემატიკა დაწყებითებისთვის (ეს არ ეხება IV - V კლასებს, მაგრამ I - III კლასებში გამარტივებულია) და, მერე ჩვენ, მასწავლებლებს გვიწევს, მოვიფიქროთ გართულებული სავარჯიშოები. ბუნებრივია, გაგიჩნდებათ კითხვა, მაშინ რატომ ავირჩიეთ სულაკაურის მათემატიკა? იმიტომ, რომ რეალურად არ აგვირჩევია, ასე მოვიდა სკოლაში, გვითხრეს, რუხაძის სახელმძღვანელო ძალიან ცოტამ აირჩია და ამიტომ არ დაიბეჭდაო.

ახლა რაც შეეხება „მე და საზოგადოებას“, ამ საგანს წელს მე არ ვასწავლი. უბრალოდ, ამ სახელმძღვანელოზე შემიძლია ჩემი მოსაზრება გითხრათ. ზოგადად, ამ საგნის სწავლების მომხრე ვარ, ის ყველა საგნის მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველაფერი, რაზეც მასწავლებელი სხვადასხვა საგნებში ან დამრიგებლის საათზე აკეთებს აქცენტს (გარკვეული უნარების გაუმჯობესებისთვის), ერთ საგანშია თავმოყრილი. აუცილებელია, ბავშვს ვასწავლოთ არ დაყაროს ნაგავი, არ დაანძურაოს გარემო, ვასწავლოთ რა არის მისი უფლება და ვალდებულება. რაც შეეხება სახელმძღვანელოს არჩევანს, მასწავლებლები გაგვაფრთხილეს, რომ ერთ-ერთი წარდგენილი სახელმძღვანელო (გამომცემლობა „ტრიასი“) არ დაიბეჭდებოდა, რადგან გრიფი არ მიენიჭა, ამიტომ სკოლაში მხოლოდ ერთი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო მოვიდოდა. ამდენად, სახელმძღვანელოს არჩევის საშუალება მასწავლებლებს, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ.

ზოგადად კი, სახელმძღვანელოების დაბეჭვდის დაგვიანებამ არა მარტო სახელმძღვანელოს არჩევის მხრივ, არამედ თემატური გეგმებისა და კალენდარული გეგმების დაწერაშიც შეგვიქმნა პრობლემა. ბუნებრივია, როცა სახელმძღვანელო არ არის, ვერც ერთს დაწერ და ვერც მეორეს. ამიტომ, ახლა მოგვიწევს დაჩქარებული ტემპით დავეწიოთ სისტემას, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში უნდა გვქონდეს დაწერილი კალენდარული გეგმა.

წელს ყველაზე მეტად გამოკვეთილი სიახლე მაინც ის არის, რომ ახალი სასწავლო გეგმით უფრო მეტად ვართ ორიენტირებული მოსწავლეზე, მისი საჭიროებიდან ამოვდივართ. ასევე ხაზს გავუსვამ „მე და საზოგადოების“ საგანს, რომელსაც დიდი ხმაური მოჰყვა საზოგადოების გარკვეული ნაწილიდან, თითქოს ამ საგნის შემოღებით რაღაც საოცრებებს ასწავლიდნენ სკოლებში. ვფიქრობ, როცა მშობლები თავად გაეცნობიან წიგნებს, კმაყოფილი დარჩებიან, რადგან სწორედ ის უნარებია ამ საგანში თავმოყრილი, რაც ბავშვმა სახლშიც და სკოლაშიც უნდა ისწავლოს.

ნინო ჭიჭინაძე

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელის საბაზო სკოლის დაწყებითების მასწავლებელი – „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის მონაწილე და „მასწავლებელთა ეროვნული ჯილდო 2018“ ათეულის წევრი:

მართალია, სკოლებს წიგნის შერჩევის უფლება მიენიჭა, მაგრამ, რაც შევარჩიე, ის სახელმძღვანელო ზოგად ბაზაში დაიკარგა. სკოლებში ის წიგნები გამოიგზავნა, რომელსაც მეტი ხმა მიენიჭა, ეს წიგნი კი, პირადად მე არ მომწონს, რადგან ჩემი თვალთახედვით, ქართულის სწავლების იმ პრინციპებს არ ითვალისწინებს, რაც აღმატებულად მიმამჩნია. სწორედ ამიტომ გავხდი იძულებული, ჩემი მოსწავლეებისთვის სხვა წიგნი შემეთავაზებინა, მშობლებთან შეთანხმებით, შემეძინა და ჩამომეტანა ბავშვებისთვის.

რეალურად, სახელმძღვანელოების არჩევისას ძალიან დიდი პრობლემა შეიქმნა. ამ პროცესში გრიფის მინიჭება კი არ არის მთავარი, არამედ სისტემა, რომლითაც სამინისტრო ხელმძღვანელობს – რომელი სახელმძღვანელოც მეტ ხმას დააგროვებს, ის უნდა გააგზავნონ სკოლაში. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ვინც ამა თუ იმ სახელმძღვანელოს ხმას აძლევს, სწორედ იმას ვაყენებ ეჭვქვეშ – ჩემთვის გაუგებარია, რეალურად იცნობენ წიგნს და ხმას იმიტომ აძლევენ, თუ მათ „ნაცნობებმა “ დაურეკეს და უთხრეს, რომ ეს კარგი წიგნია? ჩემი აზრით, აქაც კომპეტენციის პრობლემაა.

რაც შეეხება ჩემს არჩევანს, ქართულში ნათელა მაღლაკელიძის სახელმძღვანელო ავირჩიე (სკოლაში „დიოგენეს“ სახელმძღვანელო შემოვიდა). რატომ მაღლაკელიძე? იმიტომ, რომ მასში უფრო მეტად არის მოგვარებული ბეჭდვის პრობლემები, გათვალისწინებულია წიგნის ხარისხობრივი მახასიათებლები, ფერები, ილუსტრაციები და ა.შ. რაც მთავარია, ტექსტები უფრო მეტადაა შემცირებული, რაც საანბანო პერიოდის დასრულების შემდგომ, პედაგოგს მეტ თავისუფლებას ანიჭებს, თვითონ აირჩიოს რომელი ტექსტი შეიტანოს მოსწავლეებთან - ანბანის შემდგომი პერიოდია შეცვლილი. ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ არის შედგენილი საანბანოც და ანბანის შემდგომი პერიოდიც, ეს სახელმძღვანელო კი უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს მასწავლებელს, საკუთარი არჩევანით ჩაანაცვლოს ტექსტები.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, ყველაზე კარგად არის ერთმანეთს მორგებული კითხვა-წერის პროცესი – ბავშვი იმას წერს, რასაც კითხულობს, აანალიზებს სიტყვას და ამავდროულად მისი წერაც შეუძლია. უმთავრესი პრინციპი მაინც კითხვის და წერის ერთმანეთთან დაკავშირებაა, რაც მხოლოდ ამ წიგნშია დაცული და რამაც ჩემი არჩევანი განაპირობა.

საბოლოოდ, წლევანდელ პროცესებზე გეტყვით, რომ მასწავლებელს აზრის გამოთქმის უფლება მისცეს, მაგრამ არჩევანი შეუზღუდეს. სწორედ ამან გამოიწვია ის ფაქტიც, რომ შეიძლება სხვისი არჩეული წიგნი გამომიგზავნონ და არა ჩემი რჩეული. არადა, მთავარი სწორედ ესაა – ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთი არჩევნის უფლება, რომელიც რეალიზდება. სხვა შემთხვევაში ეს ყველაფერი აზრს კარგავს, რადგან არ ვარ დარწმუნებული, უმეტესობას იმ პრინციპებით ჰქონდეს შეფასებული სახელმძღვანელო, რა პრინციპებითაც უნდა იხელმძღვანელოს.

დიდი პრობლემა შექმნა იმანაც, რომ დაბეჭდილი სახელმძღვანელოები თვალით არ გვინახავს. როცა სახელმძღვანელოს ირჩევ, თავიდან ბოლომდე უნდა გაეცნო და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასო. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პირველი გვერდიდან ბოლო გვერდამდე ვიცნობდე წიგნს, რომლითაც უნდა ვასწავლო ბავშვებს. მე პირადად, სახელმძღვანელოებს ბრმად არ ვირჩევ, რადგან ამის კომპეტენცია უნივერსიტეტმაც მომცა და ჩემმა მრავალწლიანმა გამოცდილებამაც.

ლალი ჯელაძე

სახელმძღვანელოები

ვის უნდა დაეხმაროს ვენდი?

„რატომ უნდა ამოგველო ვიდეოკამერის ჩანაწერები?! ჩვენ ხომ არ ვიცოდით რა იქნებოდა მასზე?!“ – ქართველი პროკურორი

ვენდი ვარდისფერი ვეფხვია. ის სხვა ვეფხვებისგან განსხვავებულია. ვენდი მთვარეს ეკითხება, რატომ ვარ სხვანაირიო. მთვარე ეუბნება, ეგ სულაც არაა ცუდი, პირიქით, ძალიან ლამაზი ხარო. მეც სხვანაირი ვარ, ხან ვანათებ და ხან არაო. როცა ვანათებ, ყველას ვეხმარებიო. მე ვის დავეხმაროო, დაფიქრდება ვენდი.

ვის დაეხმაროს ვენდი? – სვამენ შეკითხვას გამომცემლობა „ტრიასის“ პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს ავტორები. ამ შეკითხვას ისინი პირველკლასელებს უსვამენ. მე რომ მაპასუხებინოს ვინმემ ამ შეკითხვაზე, ორ პასუხს გავცემდი. ამ პასუხებსა და მათ გახსნას შემოგთავაზებთ ქვემოთ.

პასუხი 1: ვენდი უნდა დაეხმაროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, გაერკვეს რა ხდებოდა და რა ხდება სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვიცნობ დეტალურად ამ პროცესს, ზედაპირული შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე მეჩეჩი, რომელზეც ეს პროცესი წაფორხილდა.

I მეჩეჩი – ვადები. ვადების აღრევა ერთ-ერთი აქილევსის ქუსლი იყო ამ პროცესში. ჯერ იყო და გამომცემლობებს თავის დროზე არ/ვერ შეატყობინეს ის პირობები, რასაც სამინისტრო/დამკვეთი შესთავაზებდა მათ. შესაბამისად, სახელმძღვანელოების შექმნისთვის საჭირო ისედაც მცირე დრო გაიწელა. თავდაპირველად, დათქმული ვადებით, I-VI კლასებში, ახალი სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ გასულ სასწავლო წელს უნდა შესულიყო. შემდგომი დათქმით, გრიფი მინიჭებული უნდა ყოფილიყო მიმდინარე წლის მაისის ბოლოს. ამ ვადამაც გადაიწია და აგვისტოს დასაწყისში პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

II მეჩეჩი – გაუმჭვირვალობა. მე არ მიწვლილვია გრიფირების დებულება და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებდა ამ პროცესს, არც საქმის მსვლელობისთვის მიდევნებია ფხიზლად თვალყური, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ზედაპირულადაც კი პროცესი გარკვეულ კითხვებს აჩენდა, რაც პერიოდულად თავს წამოყოფდა ხოლმე საგანმანათლებლო საზოგადოებაში. როგორ აფასებდა კომისია სახელმძღვანელოებს? საჯაროვდებოდა თუ არა სახელმძღვანელოს მიერ მიღებული ქულები? ეუბნებოდნენ თუ არა ამ ქულებს სახელმძღვანელოს ავტორებს/გამომცემლობებს? რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ ზოგიერთი ავტორისთვის/გამომცემლობისთვის ხელმისაწვდომი იყო კომისიის შეფასებები, ხოლო სხვებისთვის – არა? (ამის შესახებ საუბარია სტუდია „რეპორტიორის“ სიუჟეტში).

აქვე უნდა აღინიშნოს ის პროცესი, რომელიც შაშკინ-მარგველაშვილისეულ გამომცემლობების საწინააღმდეგო პოლიტიკადაა ცნობილი.

ასეთი გაუგებრობა და უპასუხო შეკითხვები ყოველთვის იქნება, როდესაც საქმეს, რომელიც ბიზნესის ხელში უნდა იყოს, სახელმწიფო დაეპატრონება. ასე თუ ისე, ძლივს აეწყო სახელმძღვანელოების ბიზნესი და ე.წ. უფასო სახელმძღვანელოების პოლიტიკამ მოგვიყვანა იმ რეალობამდე, რაც დღეს გვაქვს. ხოლო შეკითხვაზე – „რატომ უნდა უხდიდეს სახელმწიფო მამუკა ხაზარაძისა და ათასობით მისი მსგავსის შვილებს სახელმძღვანელოებში ფულს“ – პასუხი კვლავ არ არის.

III მეჩეჩი – გრიფის მინიჭება. ივლისის თვეში, მაშინ, როდესაც მასწავლებლები რუდუნებით ისვენებდნენ კუთვნილ შვებულებაში, შემჭიდროებულ ვადებში მოითხოვეს სახელმძღვანელოების არჩევა უცნაური პრინციპით: ირჩევენ რომელიმე საგნის (მაგალითად, ქართულის) სახელმძღვანელოს, მაგრამ კიდევ ირჩევენ მეორე სახელმძღვანელოს ამავე საგნისთვის, შემდეგ მესამეს, შემდეგ მეოთხეს და ა. შ. მგონი, მეშვიდემდე. *„ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოჩნდეს რეცენზირების შედეგების კორელაცია სკოლების არჩევანთან“* – ასე ფიქრობს სამინისტრო.

რომ გამოჩნდეს, მერე რა? ან რომ არ გამოჩნდეს და არ დაემთხვეს სამინისტროს არჩევანს, მერე რა?! ან კიდევ, შვებულებიდან გამოძახებული მასწავლებელი, რომელმაც ერთი სახელმძღვანელო აირჩია, დანარჩენ ექვსს (თუ ხუთს) ჩაანალიზებს სათითაოდ და პრიორიტეტულობის მიხედვით დაალაგებს?! შე კაი დედმამიშვილო, გრიფირების კომისიის წევრი ვერ გიანალიზებს ამ სახელმძღვანელოებს (ამაზე – ქვემოთ.) და შვებულებიდან გამოძახებულ მასწავლებელს სთხოვ შვიდს ერთად?!

მოკლედ, დავანებოთ ამას თავი (დავუშვათ, ძლიერ მნიშვნელოვანი იყო კორელაციის დადგენა მასწავლებლისა და გრიფირების კომისიის არჩევანს შორის.). ბოლოს აღმოჩნდა, რომ სკოლა, რომელმაც აირჩია გარკვეული სახელმძღვანელო, ვერ მიიღებს ამ სახელმძღვანელოს. რატომ? იმიტომ, რომ გრიფი ვერ მიიღო. აბა, რატომ შესთავაზეს ასარჩევად შვებულებიდან გამოძახებულ მასწავლებელს?!

მმმ...

ანუ გამოდის, რომ გრიფი ჯერ არ ჰქონიათ სახელმძღვანელოებს მინიჭებული და ისე აარჩევინეს სკოლებს?! იქნებ, ეს პრიორიტეტებით არჩევანიც (მე მას „სახალხო გრიფირება“ დავარქვი) იმისთვის მოიგონეს, რომელ სახელმძღვანელოსაც მეტი სკოლა აირჩევდა, ის სახელმძღვანელო დაებეჭდათ და გრიფიც იმისთვის მიენიჭებინათ?!

დაიბენით?! ალბათ.

მაშ ასე. სკოლებს აარჩევინეს სახელმძღვანელოები და ბრძანებაც გამოიცა, რომელსაც ახალი მინისტრი კი არა, მისი მოადგილე აწერს ხელს, რომლითაც დამტკიცდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სია. ერთი სია 25 ივლისს გამოქვეყნდა (https://goo.gl/ynSu1P), დანარჩენი გრიფირებული სახელმძღვანელოებისა კი – პირველ აგვისტოს (https://goo.gl/pDdpue). ჰოდა, გამომცემლობა „ტრიასის“ მესვეურები ირწმუნებიან, რომ პირველ აგვისტოს გამოქვეყნებულ სიაში ჩვენი პირველი კლასის სახელმძღვანელო იყო და ელფოსტაზე შეტყობინებაც მოგვივიდა სამინისტროდან, რომ ჩვენი სახელმძღვანელო გრიფირებულიაო. ხოლო მეორე დღეს შეგვატყობინეს, შეცდომა გაიპარა და თქვენი სახელმძღვანელო არაა გრიფირებულიო.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი პროცესს. სკოლებს ასარჩევად შესთავაზეს სახელმძღვანელოთა სია, რომელშიც იყო „ტრიასის“ პირველი კლასის ქართული. სკოლების გარკვეულმა ნაწილმა (როგორც ამ გამომცემლობის მესვეურები ამბობენ, საკმაოდ დიდმა რაოდენობამ, ყველაზე მეტმა, დაახლოებით 25 ათასი მოსწავლის შესაბამისმა) აირჩია ეს სახელმძღვანელო. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელოს გრიფი ვერ მიუღია.

რატომ შესთავაზეს სკოლებს ისეთი სახელმძღვანელო ასარჩევად, რომელსაც გრიფი არ ჰქონდა? „მოდი, ვნახოთ, ჩვენი გრიფირების კომისიის დასკვნა თუ დაემთხვევა სკოლების არჩევანს, ანუ თუ არავინ აირჩევსო?!“ არასერიოზულია? გეთანხმებით.

პირველ აგვისტოს გამოქვეყნებულ სიაში რატომ გაიპარა და შემდეგ რატომ ამოიღეს? ვიღაცამ ექსელის ფაილში შეცდომით გადააკოპირა და სეივების დროს მაუსზე ხელი არასწორად დაეჭირათ...

გამოდის, შეეშალათ: I – როგორც სკოლებში ასარჩევად გადაგზავნის დროს; II – პირველ აგვისტოს სიის გამოქვეყნებისას; III – გამომცემლობისთვის ელფოსტით წერილის გაგზავნის დროსაც. შეცდომა ვის არ მოსვლია?! თუნდაც სამი.

როგორც ვხედავთ, ფრიად მრუმე (კარგად გამოხატავს ეს სიტყვა) სიტუაციაა და სწორედ ვენდის დახმარება სჭირდება ახალ მინისტრს გასარკვევად.

კიდევ ვის უნდა დაეხმაროს ვენდი?!

პასუხი 2. ვენდი უნდა დაეხმაროს გრიფირების კომისიას.

სანამ ამ პასუხის გაშლას დავიწყებდე, მინდა ყურადღება მიგაქცევინოთ სათაურის ქვეშ ეპიგრაფად გამოტანილ ქართველი პროკურორის სიტყვებზე, რომლებიც წარმოვადგინე გაქანებული არაპროფესიონალიზმისა და უტიფრობის მკაფიო ილუსტრაციად.

...მოკლედ, სამინისტროში გამომცემლობის მესვეურებს აუხსნეს, რომ რა პრეტენზიები გაქვთ, მექანიკურ შეცდომას (გაგახსენებთ, სამი შეცდომაა) რატომ აქცევთ ყურადღებას, კომისიას უარყოფითი დასკვნა ჰქონდა თქვენს წიგნზეო. და სადემონსტრაციოდ აძლევენ კომისიის ერთი წევრის (პირობითად მოვიხსენიოთ, როგორც გ.მ.) მინისტრ მ. ჩხენკელის სახელზე ჯერ კიდევ 9 ივნისს დაწერილ უარყოფით დასკვნას „ტრიასის“ პირველი კლასის ქართულის სახელმძღვანელოზე (დავანებოთ თავი, რომ თუ კომისიის დასკვნა უკვე იყო ცხრა ივნისს, ერთი თვის შემდეგ სკოლებს რატომღა უგზავნიან... ვიკითხოთ: ეს კომისიის დასკვნაა თუ მხოლოდ ერთი წევრის? ყოველ შემთხვევაში, რადგანაც გამომცემლობას ეს დასკვნა მიაწოდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიაწოდეს კომისიის ყველაზე ავტორიტეტული და კომპეტენტური წევრის თვალსაზრისი. ჩვენც განვიხილოთ ეს დასკვნა და შემდეგ კვლავ ვენდის ვთხოვოთ დახმარება.)

სანამ დასკვნის განხილვას შევუდგები, მინდა ერთი შეკითხვა დაგისვათ: წარმოიდგინეთ, სახელმძღვანელო მოგცეს შესაფასებლად და გთხოვენ, წარადგინო წერილობითი დასკვნა. თქვენ სახელმძღვანელო არ მოგეწონათ. როგორ დაიწყებთ დასკვნის წერას? რამდენიმე ვერსიას შემოგთავაზებთ და ამოირჩიეთ: ა) ყურადღებით გავეცანი რა წარმოდგენილ სახელმძღვანელოს... ბ) მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში გვხვდება ბევრი პოზიტიური ადგილი... გ) მინდა მოგახსენოთ, რომ სახელმძღვანელო, რომელიც მე შევაფასე... დ) საკმაოდ პრობლემური წიგნია.

ცხადია, თქვენ „დ“ პასუხს არ ამოირჩევდით. არადა, სამინისტროს გრიფირების კომისიის ყველაზე ავტორიტეტული წევრის, გ.მ-ს დასკვნა სწორედ ასე იწყება. აქედანვე ცხადია, რომ დასკვნა უარყოფითი იქნება. მაგრამ დასაწყისი ხომ არაა მთავარი? ჩვენც აკაკის იმ მკითხველებივით ხომ არ უნდა მოგვივიდეს, რომლებიც ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსში მხოლოდ ენის დაწუნებას კითხულობენ და იმასაც არასწორად?!

აკაკი ვახსენე და არცთუ შემთხვევით. ერთ-ერთ კომენტარში მე ბატონ გ.მ.-ს აკაკისა და გოგლას ჩანგის მოზიარე ვუწოდე, ვერ დავიჯერე მისი მხრიდან ასეთი არაპროფესიონალური ჩარევა სახელმძღვანელოს შერჩევის პროცესში. და ახლაც, როდესაც ჩემი თვალით ვკითხულობ საოცრად არაკომპეტენტურ ტექსტს, – რომლის ჯერ მხოლოდ პირველი წინადადება განვიხილეთ, – არ მინდა ბრალეულობის მთელი სიმძიმე საუკეთესო სახელმძღვანელოს ჩაგდებაზე ბატონ გ.მ.-ზე გადავიტანო. ამაში ბრალი მიუძღვის იმ უფლებამოსილ პირებს, ვინც გ.მ.-ს იმ სახელმძღვანელოს შეფასება სთხოვა და ამაში ფული გადაუხადა, რომლის შეფასების კომპეტენციაც მას არ ჰქონდა. მან შეაფასა ისე, როგორც შეძლო (სხვა რამ არ მინდა ვიფიქრო. ჭორები მოაშორეთ!) თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უფრო მაღალი შეხედულება მაქვს ბატონი გ.მ.-ს ლიტერატურულ გემოვნებაზეც და კოგნიტურ მონაცემებზეც, ვიდრე ამ წერილშია წარმოსახული. წერილს კი ვერ გავექცევით და მეც განვაგრძობ მის განხილვას. მანამდე კიდევ ერთხელ მინდა დავაყენო გადაწყვეტილების მიმღებთა ვინაობის, მათი პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების საკითხი.

განვაგრძოთ დასკვნის განხილვა.

„წინასაანბანო პერიოდი ერთი შეხედვით, ნორმალურად არის ჩამოყალიბებული (სტილი და პუნქტუაცია აქ და ყველგან დაცულია, – გ.ჭ.), *თუმცა ნახატებზე მიწერილი სიტყვები ბავშვებისთვის გაუგებარი დარჩება – ჯერ არ იციან კითხვა.“*

ამის წაკითხვის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ბატონი გ.მ. არაა პირველ კლასში სწავლების მეთოდიკაში გარკვეული და არაფერი სმენია კითხვისა და წერის სწავლების სხვადასხვა მიდგომის შესახებ. ამის ახსნა-განმარტებას, ცხადია, აქ არ ვაპირებ, თუმცა, მხოლოდ ერთს შევნიშნავ მისივე ლოგიკით: სახელმძღვანელოს ყდაზე რატომ აწერია „ქართული ენა“ ?! როგორც გ.მ. იტყოდა, „ჯერ არ იციან კითხვა და ბავშვებისთვის გაუგებარი დარჩება“...

გავიცინეთ, გვეყოფა! განვაგრძოთ.

„საანბანო პერიოდის მეთოდიკა გადასახედია. მაგალითად, გაუგებარია – პირველივე ასო-ბგერაზე რანაირად უნდა აღიქვან ბავშვებმა... „ანა და აკა ხატავენ“; ან: „ანამ დახატა ზღვა“ – ამდენი ახალი ბგერის (სიტყვები, ცნებები, ტერმინები აქ და ყველგან დაცულია, – გ. ჭ.) *გაა ზრება ბავშვებს გაუჭირდებათ.“*

ეს ციტატაც ამტკიცებს, რომ დასკვნის ავტორი არ იცნობს კითხვის სწავლების დაბალანსებულ მიდგომას და „მთელი-ნაწილები-მთელის“ პრინციპზე აგებულ გაკვეთილებს. რჩება განცდა, რომ ბატონი გ.მ. ასო-ბგერებსა და მათ სწავლებაზე ფიქრისას თავის იმ აღმოჩენის ამარა დარჩენილა, რომლის მიხედვითაც „ქართულ ანბანში 28 „მამაკაცი“ და მხოლოდ 5 „მანდილოსანია“ (კვაჭანტირაძე, თ., სასიტყვეთი, 2008, გვ. 430).

ბატონი გ.მ. არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელიც ეწინააღმდეგება ანბანის შესწავლის პერიოდში საკითხავ ტექსტებში „უცნობი“ ასოების შემოტანას და ამ რიგის სპეციალისტებს ისეთი ტექსტები შეაქვთ მოსწავლეებთან, რომლებიც სრულიად დაცლილია აზრისგან და რომელთა დეკოდირება ბავშვების ტანჯვადაა ხოლმე გადაქცეული. მოკლედ აღვნიშნავ, რომ მოსწავლეები ხალისით „კითხულობენ“ (დეკოდირებით, მთლიანი სიტყვების ამოცნობით, კონტექსტური გასაღებების გამოყენებით, ილუსტრაციების დახმარებითა და სხვა – ნასწავლი თუ თითქმის ინსტინქტური სტრატეგიების გამოყენებით) მცირე, აზრიან, სახალისო, ილუსტრირებულ ტექსტებს და, ამ ტექსტებზე დაყრდნობით, ადვილად იმახსოვრებენ, ითვისებენ სამიზნე ასო-ბგერას, თუკი გაკვეთილი აგებულია ასეთი მიდგომის დროს გამოსაყენებელი საგაკვეთილო მოდელით „მთელი-ნაწილები-მთელი“ (დასაწყისში შემოთავაზებული სახელმძღვანელოს ტექსტის შემთხვევაში, როგორც ვხედებით, სამიზნე ასო-ბგერაა „ვ“. ეს და „ტრიასის“ სახელმძღვანელოში გამოყენებული სხვა საანბანო ტექსტები სწორედ ჯიპრაიდის პროექტის ფარგლებში შეიქმნა ავტორთა ჯგუფის – **თათა ჭანტურია, მაია ლორთქიფანიძე, ხათუნა რაზმაძე, მაკა მახარობლიძე, ლელა ქისტაური, ქეთი ფიცხელაური –** მიერ).

მეტს ამ მიდგომის შესახებ აღარ ვისაუბრებ. აღვნიშნავ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ასეთ მიდგომას ნერგავდა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი წლების განმავლობაში და მასწავლებლებმა, რომლებმაც მოსინჯეს ეს მიდგომა, აღტაცებით საუბრობენ თავიანთი მოსწავლეების მიღწევებზე. სახელმძღვანელოს ავტორები, რამდენადაც ვიცი, ქალაქ-ქალაქ დადიოდნენ და მასწავლებლებს აცნობდნენ ჯიპრაიდის მიერ შემოთავაზებულ მიდგომებს, მეთოდებს. სწორედ ამ შეთავაზებაზე იყო დაფუძნებული ამ მასწავლებელთა არჩევანიც, რომელიც გრიფირების კომისიის დასკვნამ გააბიაბრუა.

იმედს ვიტოვებ, რომ შეცდომა პირველ აგვისტოს პირველად გამოქვეყნებულ სიაში, ან გამომცემლობისთვის პირველად გაგზავნილ წერილში, ან სკოლებისთვის ასარჩევად გადაგზავნილ სიაში კი არ იყო გაპარული, არამედ ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც ასეთი არაკვალიფიციური დასკვნის საფუძველზე ყოფილა მიღებული. სხვათა შორის, 3 აგვისტოს გამოქვეყნებულ ამ ცვლილებებში თავად ცვლილებები არაა წარმოდგენილი.

...ბატონი გ.მ., თავის დასკვნაში, შემდეგ უფრო დაკონკრეტებულ შეცდომებს ასახელებს, რომელთაგან უმრავლესობის წარმოდგენა არ ღირს, რადგანაც არასერიოზულია. მაგალითად, ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობაში გ.მ. ვერ ერკვევა და ენობრივი შეცდომა ჰგონია. მხოლოდ რამდენიმე შენიშვნას აღვნიშნავ კიდევ. მას, მაგალითად, მიუღებლად მიაჩნია, პირველკლასელმა მოსწავლეებმა ისაუბრონ თავიანთი მომავალი პროფესიის შესახებ. მართლაც, რა იციან პირველკლასელებმა პროფესიები?! ამისთვის მეთერთმეტე კლასში ხომ სპეციალური საგანი იქნება შემოღებული, რომელიც დაეხმარებათ მათ კარიერულ ორიენტაციაში და მანამდე ნურას უკაცრავად! მხოლოდ მეთერთმეტე კლასში უნდა ვისაუბროთ მომავალ პროფესიებზე!

აღარ გეცინებათ?! ძალიან კარგი.

ან კიდევ, ის რა დავალებააო, თუ რას გავაკეთებ ჩემი ქვეყნისთვისო?! მართლაც, რა იცის პირველკლასელმა, რა უნდა გააკეთოს თავისი ქვეყნისთვის?! ისინი ხომ ჩემი და ბატონი გ.მ.-ს თაობის პირველკლასელები არ არიან, რომლებიც სხაპასხუპით გიპასუხებდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ პარტიისთვის?! არა. დღევანდელმა პირველკლასელებმა კი იმაზე საპასუხოდ, თუ რა უნდა გააკეთონ ქვეყნისთვის, ჯერ სკოლა უნდა დაასრულონ, შემდეგ უმაღლესი, შემდეგ ხარისხიც უნდა დაიცვან, შემდეგ სამინისტროს გრიფირების კომისიაში უნდა მოხვდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდებიან, თუ რა უნდა გააკეთონ თავისი ქვეყნისთვის! მაგრამ მაინც ვერა. ზოგიერთისთვის ესეც არ კმარა. ზოგიერთისთვის კი არა, მთელი კომისიისთვის გაურკვეველია, თუ რა უნდა გააკეთოს ქვეყნისთვის. რა და: გზა უნდა გაუხსნას ისეთ ბრწყინვალე სახელმძღვანელოს, როგორიცაა „ტრიასის“ პირველი კლასის ქართული ენა.

აი, კიდევ რის გაცნობიერებაში უნდა დაეხმაროს ვენდი გრიფირების კომისიის წევრებს.

გიორგი ჭაუჭიძე

 თვალსაზრისი

ზოგადი განათლების მთავარი საკითხი

წინამდებარე წერილში ყურადღებას შევაჩერებ იმაზე, თუ რა ცვლილება უნდა განხორციელდეს ზოგადი განათლების სფეროში პირველ რიგში. პირდაპირ პასუხით დავიწყებ – ეს არის ახალი სასკოლო სასწავლო საგნების შემოღება.

სასკოლო სასწავლო საგნების შერჩევისათვის წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ორი კრიტერიუმი, ორი ასპექტი, რომელთა საფუძველზეც უნდა ვუპასუხოთ კითხვას – რა ვასწავლოთ ბავშვებს? ეს კრიტერიუმებია: ა) ცხოვრებისათვის მომზადება. გავიხსენოთ უმცროსი სენეკას სიტყვები: *„ვსწავლობთ არა სკოლისთვის, არამედ ცხოვრებისთვის“* და ბ) ქვეყნის მიმდინარე და ახლო პერსპექტივის საჭიროებები.

1. ამ კრიტერიუმების გააზრების შედეგად პირველი საგანი, რომლის საჭიროებაც გამოიკვეთება, არის **ჯანმრთელობის საფუძვლები** (ეს საგანი ისწავლება უცხოეთის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში). ეს უნდა იყოს პრაქტიკული და თეორიული სწავლების კურსი, უნდა მოიცავდეს როგორც ფიზიკურ ვარჯიშებს, ისე საკითხებს ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. მან უნდა ჩაანაცვლოს სპორტის სწავლება. სპორტი კი უნდა ისწავლებოდეს გარკვეული წრეების სახით, უნდა იყოს არჩევითი, ტარდებოდეს საგაკვეთილო დროის შემდეგ და ა.შ.

2. მეორეა ეთიკა, მეტადრე კი **ნორმატიული ეთიკა**, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: რა არის სინდისი, მორალური სიყვარული, რა სახის სიკეთეა სრულად ფასეული და რომელი დეევალვირებული, რა არის მოწყალება, თავმდაბლობა, თვითიგნორირება, უანგარობა, ნამდვილი და არაუტილიტარული მეგობრობა და ა.შ. ამ საგნის სწავლების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მორალური, მაღალზნეობრივი პიროვნება. გავიხსენოთ ჟან-ჟაკ რუსო: *„ადამიანებო, იყავით ადამიანურნი. ეს თქვენი პირველი მოვალეობაა“*. მორალური აღზრდის უპირატეს მნიშვნელობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე (რომელიც კარგად იცნობდა ფრანგულ განმანათლებლობასა და ანტიკურობას): *„წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს – სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შესაძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო დიდად მავნებელია... სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულება შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა“* (ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიის საფუძვლები. 1888 წ). ზნეობრივი აღზრდის უპირატესობაზე მიუთითებდნენ სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, სტოიკოსები და სხვ.

რაც შეეხება რელიგიის ისტორიის სწავლების შემოღებას მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის მიზნით, ეს მისასალმებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, უმჯობესია შემოვიღოთ რელიგიის ეთიკის სწავლება, ვინაიდან ეს საგანი უშუალოდ ზნეობრივ აღზრდას ისახავს მიზნად, რელიგიის ისტორია კი მხოლოდ ისტორიული ასპექტით შემოიფარგლება და ზემოთ აღნიშნული მიზანი არ გააჩნია.

3. **მსოფლიო ლიტერატურა**. არ შეიძლება თანამედროვე ადამიანმა არ იცოდეს „უცხო“ (კამიუ), „გარდასახვა“ (კაფკა), „ფუნთუშა“ (მოპასანი), „იდიოტი“ (დოსტოევსკი), „დანაშაული და სასჯელი“ (დოსტოევსკი), „დონ კიხოტი“ (სერვანტესი), „მოხუცი და ზღვა“ (ჰემინგუეი), „ფაუსტი“ (გოეთე), „ღვთაებრივი კომედია“ (დანტე ალიგიერი), „ილიადა“ და „ოდისეა“ (ჰომეროსი), შექსპირის ნაწარმოებები და სხვ. ეს ნაწარმოებები გვასწავლის, რომ ადამიანი არ უნდა იყოს საშუალება; ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი ნეგატიური საზოგადოებრივი აზრისგან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში დამახასიათებელია დასჯის რისკი; „უმნიშვნელო“ ადამიანიც კი ჩვენთვის უნდა იყოს დიდი ფასეულობის მქონე; საზოგადოება ირონიულად რეაგირებს ქრისტესმიერებაზე, მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისათვის შინაგანად და უარი არ უნდა ვთქვათ სიკეთის კეთებაზე...

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან ცნობილია კათარსისის თეორია (პლატონი, არისტოტელე), რომლის მიხედვითაც, ხელოვნება დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ზნეობრივ განვითარებასა და განწმენდაზე. ეს ეხება ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც.

4. საშუალო საფეხურზე საჭიროა **კომპიუტერული ინჟინერიისა** და **ელექტრონული ინჟინერიის** საფუძვლების სწავლება. იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებენ ბავშვები ამ საგნების შესწავლას, შეკითხვით მივმართე ამ დარგის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სპეციალისტს საქართველოში, რომელმაც დადებითი პასუხი გამცა. ამ საგნების სწავლებას დუალური მნიშვნელობა აქვს – ერთი მხრივ, ინდივიდისათვის გლობალურ შრომის ბაზარზე თვითდამკვიდრების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება, ხოლო მეორე მხრივ – ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი სტიმული.

5. **ბიზნესის** კვალიფიციურად წამოწყებისა და წარმართვისათვის მიზანშეწონილია არაერთი მეცნიერებისა და კანონის შესწავლა. ესენია: საგადასახადო საქმე (და საგადასახადო კოდექსი), შრომის კოდექსი, კანონი მეწარმეთა შესახებ, მენეჯმენტი, მარკეტინგი, პიარის და რეკლამის თეორიები, დროის მენეჯმენტი, HR-მენეჯმენტი, ლიდერობის თეორია, ფინანსური მენეჯმენტი, ინვესტიციების თეორია, რისკოლოგია, მაკროეკონომიკა... მათი ნაწილი შეიძლება ვასწავლოთ ერთი ან ორი სასწავლო წლის მანძილზე, ნაწილი კი – მეტი ხნის განმავლობაში, ხოლო ზოგიერთი მათგანის გაერთიანებაც შეიძლება, მაგალითად, შეიძლება გავაერთიანოთ ფინანსური მენეჯმენტი, რისკოლოგია და ინვესტიციების თეორია, აგრეთვე მენეჯმენტი, HR-მენეჯმენტი და ლიდერობის თეორია. აქვე დავამატებდი, რომ, მაგალითად, მსოფლიო ისტორიის სწავლებისათვის საკმარისია ერთი წელიწადი. ჩვენს მოსწავლეებს და ქვეყანას ახლა გაცილებით მეტად სჭირდება ბიზნესის მეცნიერებათა სწავლა. მარტოოდენ „მეწარმეობის საფუძვლების“ ერთი წლის მანძილზე სწავლება საკმარისი არ არის.

6. ჩვენი კვლევის და ფიქრის საგანი უნდა გახდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი, ბავშვებს ვასწავლოთ **ნანოტექნოლოგიების საფუძვლები** და საერთოდ, პროფესიები, რომლებზეც თანამედროვე გლობალურ და ქართულ შრომის ბაზარზე ყველაზე მეტი მოთხოვნაა. შესაბამისი საგნების საფუძვლები ერთი ან ორი წლის განმავლობაში მაინც უნდა ვასწავლოთ, რომ იცოდნენ, საით უნდა წავიდნენ. აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნანოტექნოლოგიების საშუალებით წარმოებული პროდუქციის მასშტაბები, დღეისათვის, 3 ტრილიონ დოლარს აღემატება.

7. საჭიროდ მიმაჩნია, საშუალო საფეხურზე ყურადღება დავუთმოთ **ჩვილი ბავშვის მოვლის** მნიშვნელოვანი ასპექტების შესწავლას, ვინაიდან მოსწავლეები ხომ მალე მშობლები გახდებიან. ეს საკითხი – რა უნდა ვასწავლოთ დღეს – უნდა გახდეს კვლევისა და საყოველთაო განხილვის საგანი. საჭიროა დროული ცვლილებები ამ კუთხით, თითოეული ადამიანის კეთილდღეობისა და ქვეყნის პროგრესის დაჩქარებისათვის.

რაოდენ ბევრი მოსწავლეც უნდა სწავლობდეს ქვეყანაში მაღალ დონეზე, ღირებულებას მოკლებულია, თუ ისინი არ ფლობენ თანამედროვე გამოწვევების ადეკვატურ ცოდნას.

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

კანონპროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური დახმარებით, მიმდინარეობს (ივნისი-სექტემბერი) „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტის საჯარო განხილვები საქართველოს რეგიონებსა და თვითმმართველობებში. კანონპროექტის შესახებ საჯარო კონსულტაციები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით იმართება. „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტისა და „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის“ განხილვამ, დედაქალაქთან ერთად, საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია 1996 წელსაა მიღებული და, უკვე მრავალი წელია, ვერ აკმაყოფილებს სპორტის სფეროში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს. კანონის რეგულირების მიღმაა დარჩენილი მრავალი საკვანძო საკითხი, მათ შორის, ისეთი, რომელიც წარმოდგენილ კანონპროექტში დეტალურადაა ასახული.

შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები წარედგინება პროექტის ავტორს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო) შესაბამისი რეაგირებისთვის. კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენა დაგეგმილია 2018 წლის ბოლომდე.

საჯარო განხილვის ერთ-ერთი დასკვნითი ღონისძიება თბილისში გაიმართა. სამუშაო შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა უმასპინძლა. განხილვაში მონაწილეობდნენ: სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე**, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი**, სამინისტროს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები. შეხვედრას დაესწრნენ სხვადასხვა სპორტული ფედერაციის წარმომადგენლები, სპორტის მასწავლებლები.

რას ემსახურება კანონის პროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“?

ახალი კანონის შექმნა მიზნად ისახავს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ემსახურება სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო მოქმედებას, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა, სპორტული მედიცინა და სხვ.

კანონის პროექტში თავმოყრილი და განმარტებულია საკვანძო სპორტული ტერმინები: სპორტი, პროფესიონალი და მოყვარული სპორტსმენი, სპორტული საქმიანობა და ორგანიზაცია, სპორტული ობიექტი, ანტიდოპინგური წესები და დარღვევები, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაცია და სხვ.

კანონის პროექტი განსაზღვრავს, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ეტაპებს, ასევე, ადგენს საჯარო უწყებების ფუნქცია-მოვალეობებს ამ პროცესში. დეტალურადაა გაწერილი სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საკითხები, რომელიც შეესაბამება სპორტის სფეროში დანერგილ საერთაშორისო გამოცდილებას. აღნიშნული სისტემა ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს სპორტული ორგანიზაციების აღიარებისთვის, ასევე სახელმწიფო დაფინანსების მიღებისთვის (ფედერაციების საქმიანობის დეტალური შესწავლის და კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების გათვალისწინებით).

ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობასთან საჯარო განხილვების ფარგლებში, ორგანიზატორები, ასევე, განიხილავენ საქართველოში მასობრივი სპორტის განვითარების მიდგომებს.

საჯარო განხილვები, როგორც წესი, ტარდება რეგიონულ ცენტრებში, მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ღია წერილი

ქალბატონ ლალი წიკლაურს – პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“ მენეჯერს

ქალბატონო ლალი, სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლების, პედაგოგიური კოლექტივისა და ველევის თემის ხელმძღვანელობის სახელით მინდა საჯაროდ გამოვხატო მადლიერება იმისათვის, რომ არსებობს პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“ და პირადად თქვენდამი, პირველ რიგში, გულისხმიერებისა და ადამიანური თანადგომისათვის, მერე კი, საქმისადმი ასეთი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მიდგომისათვის. ჩვენი სკოლის პრობლემის ასე ზუსტად დანახვა მხოლოდ დედის გუმანსა და ქართველი ქალის ალღოს შეეძლო. თქვენ თქვენი ქმედებით რაჭის ერთი ლამაზი თემი გადაარჩინეთ დაცლას.

მცირე ექსკურსი საკითხის სიცხადისათვის: ველევის თემი ოთხ სოფელს მოიცავს – კვირიკეწმინდას, ველევს, ბეთლევსა და შხივანას. აქ 80-იან წლებამდე ორი დაწყებითი და ერთი არასრული საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა. მიგრაციის შედეგად მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების გამო დაიხურა კვირიკეწმინდისა და შხივანის დაწყებითი სკოლები, რასაც მოყვა ამ სოფლების მასიური დაცლა. დღეს მხოლოდ სოფელ ველევის სკოლა ფუნქციონირებს დაწყებითი და საბაზო საფეხურებით შვიდი მოსწავლით. გვყავს ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრი ოთხი სერტიფიცირებული პედაგოგით, მათგან ერთი ორ საგანში, მაგრამ ორი წლის წინ ჩვენი სკოლის არსებობას საფრთხე შეექმნა, რადგან არ გვყავდა ინგლისური ენის მასწავლებელი. იმის შიშით, რომ ბავშვები სრულფასოვან განათლებას ვერ მიიღებდნენ, ოჯახები აყრას და სოფლიდან წასვლას აპირებდნენ. მივმართე პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“ მენეჯერს, ქალბატონ **ლალი წიკლაურს**. მან გაითავისა ჩვენი პრობლემა და კონსულტანტ მასწავლებლად მოგვივლინა შესანიშნავი პიროვნება **თაია მამარდაშვილი**, რომელმაც თავისი პროფესიონალიზმით, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და პედაგოგის ეთიკის ნორმების სრული დაცვით საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სხვადასხვა აქტივობების ეფექტური გამოყენებით მოსწავლეებს შეაძლებინა წლობით ჩამორჩენის დაძლევა. ამიტომაც ჩვენი დიდი სურვილია, თაია მასწავლებელმა, ამავე პროგრამით, გააგრძელოს ჩვენთან მუშაობა. სასწავლო წლის ბოლოს მას არც გამოვმშვიდობებივართ. გვინდა, ახალი სასწავლო წლიდან კვლავ გაალამაზოს ჩვენი სკოლაც და ჩვენი ყოფაც.

ქალბატონო ლალი, ვართ პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“ იმედად. იგი ნამდვილად მაშველი რგოლია მთიანი სოფლების სკოლებისათვის. ისევ თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომის იმედი გვაქვს.

პატივცემულო რედაქცია, არ ვიცი, კორესპონდენციის ეს ფორმა მართებულია თუ არა, მაგრამ მინდა ქალბატონი ლალი წიკლაურისა და პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“ მადლიერების გამოხატვა წარსულში გაწეული თანადგომისათვის და იქნებ სამომავლოდაც ხიდად გამომადგეს.

ინგლისური ენის სწავლებასა და ამ საგნის მასწავლებელზეა დამოკიდებული სკოლისა და თემის არსებობა. მე კი ვცდილობ პრობლემის მოგვარების ყველა გზის გამოყენებას. მიმაჩნია, რომ ესეც ომია ერთი მთიანი თემის გადასარჩენად. ჩვენ კი ჯარისკაცები სოფლის მომავლის გადასარჩენად ომში ჩაბმულნი, რადგან დღეს ვინც ასეთ სოფლებში ვცხოვრობთ ან უკანასკნელი მოჰიკანები ვართ, ან სოფლის წარსულსა და მომავალს შორის არსებულ უფსკრულზე გადებული ხიდი. ღმერთმა ქნას, რომ ხიდი ვიყოთ, თორემ მიწას არავინ მოაცდენს. როდის თქვა სულკურთხეულმა მურმანმა „ვაი თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს“... მართალია, გლობალიზაციის პროცესს ვერ შევაჩერებთ, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ, ჩვენი წილი საკეთებელი ვაკეთოთ, მინდა პირნათელი ვიყო ჩემი საქმისა და მომავლის წინაშე.

ეკატერინე ჭიჭინაძე-გოგსაძე
სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

იუბილე

სიმონ პაპიძე – 85

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ დოქტორს, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს და გამომგონებელს, 126 სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი სახელმძღვანელოს ავტორს, **სიმონ პაპიძეს**, 2018 წლის 3 აპრილს, დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ კორძოულში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედლით, რომელზეც ამოტვიფრულია ბატონი სიმონის მოკლე და ლაკონური დახასიათება: „წარჩინებული სწავლისათვის და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“, მზის სხივებით განათლებული, გადაშლილი წიგნის ფონზე.

1953 წლის 1 სექტემბერს იგი უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე, ლითონების წნევით დამუშავების სპეციალობით. მისი სტუდენტობის პერიოდში, 1953-1958 წლებში, მაღალკვალიფიციური და ტიტულოვანი პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ, რამდენიმე გვარის დასახელება საკმარისია ამის დასამტკიცებლად, აკადემიკოსები: ლ. თავაძე და ნ. ლანდია; აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: დ. ერისთავი, ლ. ოკლეი; პროფესორები: ლ. ბერეჟიანი, ალ. ხვიჩია, ჯ. ლომსაძე, ალ. ნოზაძე და სხვ.

დაძაბული და ნაყოფიერი იყო სტუდენტური წლები. მის მატრიკულში მხოლოდ „5“-ები იწერებოდა. სიმონ პაპიძე აქტიურად იყო ჩაბმული სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში. მის მიერ დამუშავებულმა სამეცნიერო მოხსენებებმა (სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები: ჯ. ლომსაძე, ალ. ხვიჩია, აკადემიკოსები: ფ. თავაძე, ლ. ოკლეი) პირველი ადგილები და შესაბამისი ჯილდოები დაიმსახურეს.

წარმატებით დაამთავრა რა სპი-ს მეტალურგიის ფაკულტეტი, ახალგაზრდა სპეციალისტთა გამანაწილებელმა კომისიამ სიმონ პაპიძე ახლად ამუშავებულ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სამჭედლო საამქროს ოსტატად გაანაწილა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მას, აკად. ფ. თავაძის წარდგინებით, ასპირანტურაში ტოვებდნენ, რაზედაც არ დათანხმდა, მოტივაცია იმით იყო არგუმენტირებული, რომ საინჟინრო საქმის თეორიის ფრიადებზე სწავლას საინჟინრო პრაქტიკის მიღება სჭირდებოდა. ბატონი სიმონის ამ სწორმა ნაბიჯმა განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი და წარმატება სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით.

მეტად ნაყოფიერი და შედეგიანი იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მოღვაწეობა. აქ მან რთული, მაგრამ ძალზე საინტერესო გზა გაიარა, ოსტატიდან ტექნიკური კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელამდე. ამ შუალედში მუშაობდა: ოსტატად, ინჟინერ ტექნოლოგად, ინჟინერ კონსტრუქტორად და ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგედ. პარალელურად, სწავლობდა სპი-ს დაუსწრებელ ასპირანტურაში.

1965 წლიდან, სიმონ პაპიძე, აკად. ფ. თავაძის წარდგინებით, იწყებს ლექციების კითხვას სპი-ს ქუთაისის ფილიალში, ტექნიკური მექანიკის კათედრაზე (კათედრის გამგედ მუშაობს ტექნიკურ მეცნიერებათა ახალგაზრდა დოქტორი, აწ განსვენებული კონსტანტინე აკაკის ძე იმედაშვილი).

სიმონ პაპიძეს გაორმაგებული სამეცნიერო მუშაობა უწევს, სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებით. მისი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა ორივე მიმართულებით 126-ს ითვლის, მათი 70% მოხსენებულია საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ ტექნიკურ კონფერენციებზე.

ბატონმა სიმონმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1976 წელს, სპი-ს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, დაიცვა დისერტაცია, თემა – სატვირთო ავტომობილის უკანა ხიდის წამყვანი და მიმყოლი კბილანების ფოლადების სიმტკიცის მახასიათებლების ამაღლება, დამუშავებული იქნა ახალი მარგის ლეგირებული და საკონსტრუქციო ფოლადები, რომელთა გამოყენებამაც ავტომობილის უკანა ხიდის რედუქტორში აღკვეთა კბილანების კბილების ამოტეხვა და რამდენჯერმე შეამცირა ცვეთა (მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ფერდინანდ თავაძე), რის შედეგადაც გაიზარდა ავტომობილის ხანგამძლეობა და საიმედოობა. სიახლე საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ყველა საავტომობილო ქარხანაში დაინერგა, მათ შორის, მოსკოვის საავტომობილო ქარხანაშიც, ზილ-ის მარკის სატვირთო ავტომობილების წარმოებაში.

სიმონ პაპიძის სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდებოდა როგორც ქუთაისის, თბილისის, ერევნის, კიევის, ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების შრომების კრებულებში, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში.

იგი აქტიურად იყო ჩაბმული სალექციო მუშაობაში, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, რისთვისაც სამჯერ გადაეცა საპატიო სიგელი. სიმონ პაპიძის პუბლიკაციები პერიოდულად იბეჭდებოდა რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში, გაზეთებში: „კომუნისტი“ და „ქუთაისი“. ამ გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები დიდი მეცნიერებისა და მამულიშვილების – გიორგი ნიკოლაძისა და პეტრე ბაგრატიონის – სამეცნიერო ღვაწლის შესახებ. ბატონ სიმონს, ცენტრალურ პრესაში 200-მდე სტატია აქვს გამოქვეყნებული.

პროფესორი სიმონ პაპიძე სოლიდურ ასაკშიც ახალგაზრდული შემართებით მოღვაწეობს როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ ასპარეზზე. მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ ინტერნეტ-კონფერენციაში, რომელიც 2011 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე გაიმართა, შესაბამის შრომების კრებულში მისი ორი ნაშრომი გამოქვეყნდა.

2012 წლის ივნისში, სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერ-მეტალურგები და ლითონმცოდნეები აშშ-დან, ინგლისიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. კონფერენცია აკადემიკოს ფ. თავაძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე პროფესორი სიმონ პაპიძე გამოვიდა მოხსენებით ახალი სამეცნიერო თემატიკით. სტატიის თანაავტორი იყო მისი ყოფილი სტუდენტი, ახლა კოლეგა, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბადრი ზივზივაძე.

ბატონ სიმონს ახარებს მისი აღზრდილების შემოქმედებითი წარმატებები. ასეთები ხომ მრავლადაა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მეცნიერებაში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პოლიტიკაშიც კი. აღსანიშნავია წინა თაობის კურსდამთავრებულები: იმერეთის მხარის ყოფილი გუბერნატორი, ბატონი თემურ შაშიაშვილი, ქუთაისის ავტოინსპექციის ყოფილი უფროსი გივი ზივზივაძე და მერაბ მამარდაშვილი (აწ განსვენებული), პარლამენტარი გია ცუცხვაშვილი, სატრაქტორო ქარხნის დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი.

მომდევნო წლების კურსდამთავრებულები მეცნიერებისადმი ლტოლვით გამოირჩევიან. საკმარისია დავასახელოთ მშობლიური აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ბატონები: მერაბ ირემაძე, ფრიდონ გოგიაშვილი, გოჩა ლეკვეიშვილი, ავთანდილ მაღრაძე, ვიკა ნაკაშიძე, შოთა რუხაძე, თამაზ ურიადმყოფელი, ბადრი ნივნივაძე, გია დადუნაშვილი, ქალბატონები: სვეტა მინდაძე, ქეთი ცხაკაია და მრავალი სხვ.

სიმბოლურია, რომ სიმონ პაპიძის საიუბილეო თარიღი ემთხვევა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 85 წლისთავს.

ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია გადმოსცე ბატონი სიმონის ნაღვაწი 60 წლის განმავლობაში. ვუსურვებთ მას, კვლავ ახალგაზრდული შემართებითა და ენერგიით ეღვაწოს ჩვენი ქვეყნისა და ახალგაზრდობის სასარგებლოდ. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

აკაკი წერეთლის სახელმწფიო უნივერსიტეტის
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი,
ამავე უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის
დეპარტამენტი

ინფორმაცია

ტექნოლოგიური ინოვაციები საგანმანათლებლო სისტემაში

განათლების ციფრულ ტრანსფორმაციასა და საგანმანათლებლო სისტემაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის საკითხებს მიეძღვნა ორდღიანი სემინარი, რომელიც კომპანიის „მაიქროსოფთ საქართველო“ ორგანიზებით მიმდინარეობა. ტექნოლოგიების მიმართულების გაძლიერება და მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისთვის ტექნოლოგიურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სემინარს კომპანიის „მაიქროსოფტ“ გლობალური ციფრული განათლების სტრატეგიული გუნდის ხელმძღვანელი **კატი ტიაინენი** უძღვებოდა, რომელსაც ფინეთის განათლების სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

კატი ტიაინენის თქმით, განათლების სისტემის ციფრულ ტრანსფორმაციას ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მსოფლიო სწრაფად იცვლება, ჩნდება ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში იმ უნარების განვითარება, რაც მათ წარმატებული მომავლის შენებაში დაეხმარება. მისივე განცხადებით, ბევრი ქვეყანა მუშაობს ამ მიმართულებით და მისასალმებელია, რომ მათ შორისაა საქართველო.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე**, სამინისტროს და მასში შემავალი ქვედანაყოფების წარმომადგენლები.

ირინა აბულაძე: *„მნიშვნელოვანია სისტემის მოდერნიზაცია და ჩვენი მოსწავლეების იმ უნარებით აღჭურვა, რაც მათ 21-ე საუკუნეში წარმატების მისაღწევად დასჭირდებათ. დაგეგმილი სიახლეები, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნოლოგიების გამოყენება თვითმიზანი არ არის, ტექნოლოგიები, პირველ რიგში, სწავლა-სწავლების პროცესს უნდა უწყობდეს ხელს და იყოს ინტეგრირებული ნაწილი ამ ყველაფრისა.*

ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა „მაიქროსოფტთან“ გაგრძელდება, უფრო გაღრმავდება, მრავალი მიმართულებით ვიმუშავებთ, მაგალითად, მასწავლებლების გადამზადება, ახალი მასწავლებლების მომზადების საკითხში მათი ჩართულობა და ასევე, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების როლის გაზრდის მიმართულებით სამოქმედო გეგმის შემუშავება.“

კატი ტიაინენი, ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტი: *„მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები თქვენს ქვეყანაში, რადგან ვიზიარებ თქვენს მონდომებას, ხელი შევუწყოთ განათლების სისტემის გარდაქმნას. განათლების სისტემის ციფრულმა ტრანსფორმაციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენს დროში შეიძინა, რადგან მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება. ჩვენ ხომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავთ ტექნოლოგიურ რევოლუციებს და ვდგებით ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების წინაშე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა თაობამ შეიძინოს ის უნარები, რაც მათ დაეხმარება, შექმნან წარმატებული მომავალი. თუ მათ ვასწავლით იმ საკითხებს, რაც აქტუალური იყო წარსულში, ამით ვერ დავეხმარებით მომავლის შენებაში და თაობები განიცდიან რეგრესს. მგონია, რომ, დღეს, ამაზე ყველა ქვეყანა ფიქრობს, მათ შორის, საქართველოც უდიდეს სურვილს გამოთქვამს, დანერგოს ტექნოლოგიები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.“*

საქართველოს გერმანელი ჟურნალისტების ჯგუფი სტუმრობს

13 სექტემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, **მიხეილ გიორგაძემ** საქართველოში ქართული კულტურის გაცნობის მიზნით მყოფი გერმანელი ჟურნალისტების ჯგუფს უმასპინძლა. შეხვედრას გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პიანისტი **დუდანა მაზმანიშვილი** ესწრებოდა.

მიხეილ გიორგაძემ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და სტუმრებს, ქართული მხარის მიერ დაგეგმილი, ლიტერატურული და კულტურული პროგრამა გააცნო.

გარდა ამისა, საუბარი შეეხო საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ მრავალწლიან მეგობრულ ურთიერთობას. მინისტრის მოადგილემ გერმანელ ჟურნალისტებს ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის თეატრის, კინოს, ლიტერატურის მრავალწლიანი ისტორიაც გააცნო.

ქართული კულტურის გაცნობის მიზნით, საქართველოს გერმანელი ჟურნალისტების ჯგუფი 12 სექტემბერს ეწვია. მათ ვახტანგ კახიძის მუსიკალური ცენტრი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მასპინძლობს.

4-დღიანი ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ პროგრამით გათვალისწინებულ **ხატია ბუნიათიშვილისა** და თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტს დაესწრებიან, დაათვალიერებენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, სამეფო უბნის თეატრში, დაესწრებიან დათა თავაძის სპექტაკლს „ვეფხვი და ლომი“.

ვიზიტის ფარგლებში, გერმანელმა სტუმრებმა, მწერალთა სახლში უკვე გამართეს შეხვედრა დრამატურგ **დავით გაბუნიასთან**, დაესწრნენ ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „რუსთავის“ 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს, ასევე, მოინახულეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“.

2018 წელს, საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსითაა წარმოდგენილი. ლიტერატურული პროგრამის პარალელურად, საქართველო გერმანიის სხვადასხვა ქალაქში მრავალფეროვან კულტურულ პროგრამას წარადგენს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, თბილისის სიმფონიური ორკესტრი, 26 და 27 სექტემბერს, ბერლინსა და პოტსდამში, ორ კონცერტს გამართავს.

ღონისძიებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

სპორტი

ახალგაზრდა ძიუდოისტთა წარმატება

ირაკლი თავაძე

ძიუდოისტები უჩვეულო წარმატებით გამოვიდნენ სოფიაში ჩატარებულ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში, სადაც 9 მედალი მოიპოვეს: 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. თან, ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩნენ და ამ საერთო მონაგარში 3 მედალი მათზე მოდის: 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. არადა, ბიჭები 10-კაციანი გუნდით იყვნენ სოფიაში, გოგონებში კი მხოლოდ 5 მონაწილე გვყავდა. პირადი პირველობის გარდა, გოგონებმა გუნდურშიც კარგად იჭიდავეს, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლები ერთად ასპარეზობენ, შერეულ გუნდად. მართალია, აქ ჩვენი ნაკრები უმეტლოდ დარჩა – ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრა წააგო და მეხუთეზე გავიდა, მაგრამ ამაში გოგონების დანაშაული მინიმალურია: გადამწყვეტი პაექრობები უფრო ბიჭებმა დათმეს, თორემ გოგონებმა ყველა პრინციპული ორთაბრძოლა მოიგეს. მათ შორის – ფრიად ტიტულოვან მეტოქეებთანაც.

ევროპის ჩემპიონები **ლუკა მაისურაძე** (81), **ონისე სანებლიძე** (100) და **გელა ზაალიშვილი** (+100) გახდნენ. ვერცხლი **ტატო გრიგალაშვილმა** (81) და ეთერ ლიპარტელიანმა (57) მოიპოვეს, მესამეზე კი **ჯაბა პაპინაშვილი** (60), **ბაგრატ ნინიაშვილი** (66), **მარიამ ჭანტურია** (70) და **სოფიო სომხიშვილი** (+78) გავიდნენ. ამასთან, ჩვენმა ნაკრებმა გაიმარჯვა საერთო გუნდურ ჩათვლაშიც და ბიჭებშიც.

თუმცა, ამ სტატისტიკის გარდა, სოფიაში თავმოსაწონებელი და ჩვენთვის მნიშვნელოვანი სხვაც ბევრი მოხდა: ქართული ფინალი 81 კილოგრამში, გოგონების კარგი გამოსვლა; კიდევ ერთხელ დავრწმუნდით არჩეული გზის სისწორეში. ფინალისტებიდან მაისურაძემ და სანებლიძემ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგეს, ზაალიშვილმა მხოლოდ ერთში იმარჯვა ქულებით, გრიგალაშვილმა და ლიპარტელიანმა კი იმ წაგებული თითო პაექრობის გარდა, სხვებში იპონით იმარჯვეს, ეს ყველაფერი კი ასევე აქტივში ეთვლება ქართულ ძიუდოს.

ჩვენი გუნდისთვის განსაკუთრებით წარმატებული ბოლო ორი დღე გამოდგა, როცა ჯერ ოთხი, მერე კი სამი მედალი მოვიპოვეთ. სწორედ ამ პერიოდზე მოდის ქართული ფინალიც და ოქროების ცვენაც.

საბედნიეროდ, ქართული ძიუდოსთვის ქართული ფინალი აღარაა უპრეცედენტო შემთხვევა, თუმცა მსგავსი პრეცედენტი ნებისმიერი რანგის ტურნირზე სასიამოვნოა. მით უფრო, ისეთი დონის შეჯიბრებაზე, როგორიც კონტინენტის პირველობაა.

81 კილოგრამში ჩვენგან ახალი თაობის ორი უნიჭიერესი ფალავანი – მაისურაძე და გრიგალაშვილი გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ჩვენებური ფინალამდე იპონებით მივიდა და ორივემ ოთხ-ოთხი შეხვედრა მოიგო, გადამწყვეტ პაექრობაში კი მაისურაძემ დამატებით დროში ვაზარით იმარჯვა.

სანებლიძემ სოფიაში ერთი ამოსუნთქვით გაიმარჯვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, ქართული ძიუდოს მომავალი და წონის ფავორიტი რომაა. აქა-იქ შეიძლება, კიდეც ჩააგდოს ტურნირები, თუმცა ფაქტია – გამორჩეული ტალანტია. ევროპირველობაზე მან ხუთი პაექრობა გამართა და ყველა წმინდად მოიგო. აქედან ორი მეტოქე – არცთუ ხელწამოსაკრავი ჰოლანდიელი **სიმეონ კატარინა** და ნახევარფინალში გერმანელი **დანიელ ზორნი** გაფრთხილებებით მოახსნევინა, რაც მის კოლოსალურ უპირატესობაზე მიუთითებს, ხოლო ფრანგი **პაულ დევო**, აზერბაიჯანელი **ადილ კარიმლი** და ფინალში კოსოვოელი **შპატ ზეკა** გდებებით დაამარცხა. თან, კარიმლის იპონამდე ვაზარიც აართვა.

ზაალიშვილიც მთელი თავით აღმატებული აღმოჩნდა მეტოქეებზე და ოთხიდან სამს წმინდად აჯობა. ქულებით მხოლოდ რუსი **დავიდ ბაბაიანი** დაამარცხა ნახევარფინალში, უკრაინელი **ვლადისლავ ბერეჟკა**, უნგრელი **რიხარდ ვაჟულიკი** და ფინალში გერმანელი **ერიკ აბრამოვი** კი სუფთად დააგდო.

გოგონებში ჩინებულად გამოვიდა ლიპარტელიანი, ვინც მებრძოლი სული გამოავლინა და ჟინიანი ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი. თუმცა ამ მხრივ არც ჭანტურია ყოფილა გამონაკლისი და მისი ის ერთადერთი წაგებაც, დიდწილად, მსაჯის ბრალიცაა. რაც შეეხება სომხიშვილს, ის ყველა შეხვედრაში დომინირებდა. მათ შორის – ნახევარფინალშიც გერმანელ **რენეე ლუჩთან** და ვაზარსაც უგებდა, მაგრამ გამოუცდელობით წააგო.

ახლა წინ მსოფლიოს ჩემპიონატია, ევროპის პირველობაზე ბევრად უფრო ძლიერი შეჯიბრება, რომელიც ზუსტად

ერთ თვეში – 17-21 ოქტომბერს შორეულ ბაჰამის კუნძულებზე ტარდება. ამ მონაგარს იქაც სჭირდება განმტკიცება. იმედია, ჩვენები თავს არც იქ შეირცხვენენ – არც მწვრთნელები და არც სპორტსმენები.



ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლისთავის აღსანიშნავად, ქართულ და ინგლისურ ენებზე, გამოიცა შესანიშნავი წიგნი – „თქვენი ვარ შვილი“, რომლის ავტორები არიან: გალინა ხარებაშვილი, ვალერიან ზურაშვილი და მანანა ყიფიანი.

წიგნი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი. მასში მრავალ საინტერესო ინფორმაციას გაეცნობით არა მხოლოდ ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, არამედ კახეთის, როგორც ღვინის სამშობლოს შესახებ. წიგნი დამშვენებულია ამ კუთხის უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული, ისტორიული, საეკლესიო ძეგლების ილუსტრაციებით.

„თქვენი ვარ შვილი“ ის წიგნია, რომელიც საუკეთესო შენაძენი იქნება თითოეული ქართული ოჯახისთვის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკებისთვის.

ფასი – 15 ლარი

დაინტერესების შემთხვევაში, დარეკეთ:
574 11 51 00 ვალერიან ზურაშვილი

მოსწავლე შემოქმედი

მომავლის ვარსკვლავი

ის პატარა, შავგვრემანი, გასაოცარი გოგონაა, სულიერებითა და ინტელექტით სავსე გარემოში იზრდება. ოჯახის ნებიერაა, უყვარს კითხვა. გამორჩეული მოსწავლე ჭიათურის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის IV კლასის მოსწავლეა (დირექტორი – ნ. წერეთელი). დიდრონი თვალები მუდამ კითხვის ნიშნებით აქვს სავსე. უამრავი რამ აინტერესებს, აინტერესებს და სწავლობს კიდეც. ეს პროცესი კი მისთვის სულაც არაა დამღლელი. სურს, უფრო მეტი შეიცნოს და შეისწავლოს. სასკოლო გარემო, ოჯახი კი მუდამ მის გვერდითაა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ **ანა გოგატიშვილმა**, სხვა მრავალ წარმატებასთან ერთად, რომელიც არაერთხელ მოიპოვა, წელსაც გამოიჩინა თავი. გოგონამ წარმატებით დაძლია „სმარტის“ მათემატიკის კონკურსის ფინალური ეტაპი და ნომინაციაში „რაციონალური ანალიზი“ დიპლომიც დაიმსახურა. „სმარტის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ეტაპზე წარადგინეს ნომინაციაზე „სპეციფიკური აზროვნება“. ანას უყვარს და კარგად ფლობს კიდეც უცხოურ ენას, მან არაერთი დიპლომი და ჯილდო მიიღო ინგლისური ენის სხავდასხვა კონკურსებში და, ქალაქის მასშტაბით, პირველი ადგილი დაიმსახურა.

პატარა ანამ კარგად იცის, რომ მუსიკა სულის ენაა. იგი ყველგან ჟღერს, ჩუმი, ხმამაღალი თუ მშვიდი, მუსიკა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს! ანას სულშიც ჟღერს მუსიკა და თანაც საკმაოდ ძლიერ. რობერტ შუმანი დამწყებ მუსიკოსებს მიმართავდა: „ნუ შეგაშინებთ სიტყვები: თეორია, ჰარმონია, პოლიფონია... დაუმეგობრდით მათ და ისინი გაგაღიმებენ“. არ ვიცი ვინმემ უთხრა თუ არა გოგონას დიდებული კომპოზიტორის ეს სიტყვები, მაგრამ ფაქტია, რომ ჭიათურის ზ. ანჯაფარიძის სამუსიკო სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე (დირექტორი და პედაგოგი – თ. ქადიძე), დიდი ძალისხმევის გარეშე, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XI რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლაკვი“ (გაიმართა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში) ლაურეატის მედლითა და დიპლომით დაჯილდოვდა საშემსრულებლო ოსტატობისათვის – ანამ შოპენის პრელუდიები და ვ. აზარაშვილის „სერენადა“ შეასრულა. მონაწილეობა მიიღო კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალ-დელფიადაში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, სადაც საპატიო დიპლომი, გრან-პრი და I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ეს პატარა, სიფრიფანა გოგონა მომავლის ვარსკვლავია! დაიმახსოვრეთ მისი სახელი დარწმუნებული ვარ, წინ უამრავი მწვერვალი ელოდება, რომლისკენ მიმავალი გზაც იოლი არ იქნება. გზა დაგელოცოს და გახსოვდეს „ვისი გორისა ხარ“. ვარსკვლავები მხოლოდ ცაში არ კაშკაშებენ.

მანანა ნოზაძე
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

ახალი სასწავლო წელი ახლად აშენებულ სკოლებში დაიწყო

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის და კასპის მუნიციპალიტეტის ქალაქ კასპის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ახალი სასწავლო წელი ახლად აშენებულ სკოლაში დაიწყეს. ახალი სკოლის გახსნა და ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს მიულოცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ**.

თორტიზის საუკუნოვანი სკოლა 240 მოსწავლეზეა გათვლილი და ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლის მშენებლობა 2017 წლის 21 სექტემბერს დაიწყო და 2018 წლის 18 ივნისს დასრულდა. მშენებლო1

ბაზე 1 400 000 ლარამდე დაიხარჯა.

ქალაქ კასპში ევროპული სტანდარტების შესაბამისად აშენებული სკოლა 650 მოსწავლეზეა გათვლილი, ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ისინი დაბრკოლების გარეშე შეძლებენ სართულებს შორის გადაადგილებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტის დახმარებით. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები, ექიმის ოთახი, სპორტული და სააქტო დარბაზი. მშენებლობა 2016 წლის აგვისტოში დაიწყო, სახელშეკრულებო ღირებულებით 6 000 000 ლარამდე.

თანამედროვე სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სწავლის ხარისხის ამაღლების მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსში (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

8 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული ენის ტესტური პრობა ლიტერატურის მასწავლელისთვის

4 ლარი

თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ბიოლოგია საატესტატო გამოცდისთვის ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი

6 ლარი



ფიზიკა საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია

10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ეროვნული ანბანი სკოლებისთვის



ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

39.90 ~~49.90~~

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

ფასი – 9 ლარი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი (ერთი ცალი)

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.